249

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
ცაკ-ის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე 3 სართული

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე 2 სართული ტელეფ. 5 48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. კოლექტიური 200,000 მ, სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 300 ათ მ.

№ 301 | შაბათი, 30 დეკემბერი 1922 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5.000 მან. | № 301

დღიური

საბჭოთა მეათე ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები სასოფლო მეურნეობის, მრეწველობის, ფინანსების და სახალხო განათლების შესახებ. ყრილობის მიმართვა მთელი ხალხისადმი. აღმასკომის არჩევნები.

ლოზანის კონფერენციის მდგომარეობა გართულებულია. მოსალოდნელია მოკავშირეების „მშვიდობიანი დიქტატურა“.

კერზონი უარს ამბობს მოსულის ოსმალეთისათვის გადაცემაზე.

ინტერვიუ რაკოვსკისთან.

საფრანგეთის კომუნისტებმა მოაწყვეს დემონსტრაციები მარტის განთავისუფლების მოთხოვნით.

მიიღება ხელისმოწერა გაზეთებზე 1923 წლის 1 იანვრისათვის

გაზეთი	რომელ ენაზე	ხელისმოწერის ფასი ერთი ეგზემპლიარის თვეში	
		ცალკე	კოლექ.
„კომუნისტი“	ქართული	230.000	100 000
„პრავდა გრუზიი“	რუსული	230.000	100 000
„კარმირ ასტხ“	სომხური	230.000	100.000

კოლექტიური ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთაგან იმ პირობით, თუ გაზეთების კანტორაში წარმოდგენილი იქნება ხელისმომწერთა საპირადო სიები, რომელიც შემოწმებული უნდა იქნეს ადგილკომის მიერ. დაწესებულებანი, ქარხკომები, ადგილკომები დაკლებულ ფასებით არ სარგებლობენ. პარტ. და [illegible] დაწესებულებანი, იმ პირობით თუ ხელისმოწერა გაივლის უშუალოდ მთავარ კანტორაში, სარგებლობენ დაკლებული ფასებით.

ცალკე ნომრის ფასი

1923 წ. 1 იანვრიდან იქნება 10 000 მანეთი ყველგან.

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ და მხოლოდ საქ. პარტიულ საბჭოთა პრესის **ცენტრალურ კანტორაში** (გაზეთის ტრესტი) რუსთაველის პრ. 24. დილის 9—3 საათამდი.

განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ დღის 1-ლ საათამდე.

უგზოობასთან და უკულტურობასთან ბრძოლა

1922 წ. 28 დეკემბერს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დეკრეტი ქალაქის სახლების შესახებ, რომელნიც დაგირავებული არიან მიწად მოქმედების და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში. დეკრეტის დედა აზრი შემდეგია: ა) ის სესხები, რომელიც მიეცა დაგირავებულ ქალაქის სახლების საწინდრად, უნდა გადაიხადონ სახლის მეპატრონეებმა 1923 წლის 1 იანვრიდან დაწყებული 5 წლის განმავლობაში, ბ) ვალების დაფარვის საგანს შეადგენს ის კაპიტალური სესხი ანუ უფრო სწორად, იმ კაპიტალურ ვალის ნაშთი, რომელიც გადამხდელზე ირიცხებოდა 1922 წლის 30 იანვრისათვის, გ) კაპიტალურ ვალის ნაშთიდან მესაკუთრე იხდის მხოლოდ ამ ნაშთის 10 პროც.-ს ოქროს ვალიუტით ან ქართული ბონებით დღის კურსის მიხედვით; დ) მთელი შემოსული თანხა გადადებული იქნება რესპუბლიკის გზების და ხიდების აღსადგენად და შესაკეთებლად და აგრეთვე მოხმარდება სახელმწიფო გამომცემლობას.

შევეცდებით მოკლედ განვმარტოთ ეს დეკრეტი.

როგორც ვიცით ქალაქის სახლების დიდი ნაწილი საქართველოში დაგირავებული იყო მიწად მოქმედების ბანკებში და საკრედიტო საზოგადოებაში.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ და სამოქალაქო კოდექსმა სავსებით განსაზღვრეს სახლებზე საკუთრების უფლება; ამგვარად, თუ ოდესმე სახლის მესაკუთრეთა შორის არსებობდა რაიმე ქონებრივი წონასწორობა, ეს წონასწორობა დარღვეული იყო საიპოთეკო ბანკების ლიკვიდაციის შემდეგ. ბანკში დაგირავებულ სახლის მესაკუთრე და დაუგირავებელ სახლის მეპატრონე, თავიანთ სახლების მიმართ ერთნაირ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ე. ი. როგორც პირველს, ისე მეორეს შეეძლოთ განეგოთ თავისი სახლები სრულიად თანასწორ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ პირველმა სახლის გირაოთ მიიღო მნიშვნელოვანი სესხი, რაც მან მოიხმარა თავის საჭიროებისათვის, ხოლო მეორეს კი ასეთი რამ არ მიუღია.

გარდა ამისა, რა თქმა უნდა, მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას არ შეეძლო დაეშვა, რომ სახალხო ფული, რევოლიუციამდე არსებულ პირობების ძალით მიეთვისებიათ სახლის მეპატრონეთა ერთ ნაწილს და არ დაებრუნებიათ უკანვე ხალხისათვის.

ლოღიკა და სამართლიანობა მოითხოვს ასეთ არანორმალურ და დაუშვებელ მოვლენის თავიდან აცილებას და ამ თვალსაზრისით, საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს მიერ მიღებული დეკრეტი არის უმაღლეს სამართლიანობის სახელმწიფოებრივ აქტი.

განვიხილოთ ეხლა დეკრეტი მისი მიზნის თვალსაზრისით. დეკრეტის 2-ე მუხლი ამბობს: რომ მთელი შემოსული თანხა უნდა მოხმარდეს დანგრეულ გზატკეცილების და ხიდების აღდგენას და სახელმწიფო გამომცემლობას; ე. ი. მიმოსვლის და განათლების საჭიროებას.

ყოველი სახელმწიფოს როგორც პოლიტიკურ და ეკონომიურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში გზები ძალიან დიდ როლს თამაშობენ. ამას დამტკიცება არ ესაჭიროება. მაგრამ ჩვენი გზატკეცილები და ხიდები სამწუხარო სურათს წარმოადგენენ. ის მცირე საშუალებანი, რომელსაც მეფის მთავრობა ომამდე იძლეოდა საქართველოს მცირე რიცხოვან გზების საჭიროებისათვის, საკმარისი იყო მხოლოდ გზების ნაწილობრივ შეკეთებისათვის, და ეს გზები თანდათან ინგრეოდენ, სრულიად გამოუსადეგარნი ხდებოდენ. ომის და რევოლიუციის ხანაში ამ საშუალების გაცემა სრულიად მოისპო და ამგვარად საბჭოთა ხელისუფლებამ ძველ მთავრობისაგან მიიღო იმავე დროისთვის სრულიად დანგრეული გზები. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა იმ გარემოებით, რომ განძვინებულმა ნიაღვრებმა შემოდგომაზე დასავლეთ საქართველოში სრულიად დაანგრია ხიდები და ჩარეცხა გზები.

ჩვენმა ფინანსთა უწყებამ გამონახა ეხლა საჭირო საშუალება ჩვენი გზების და ხიდების აღსადგენად. რესურსების ერთი ნაწილი კი ხმარდება სახელმწიფო გამომცემლობის განვითარებას.

გამომცემლობის მნიშვნელობის და სარგებლობის შესახებ ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია, მაგრამ სამწუხაროდ თანამედროვე ეკონომიურ პირობებში გამომცემლობისათვის, საჭიროა დიდძალი საშუალებანი, რაც ჩვენ არ მოგვეპოვება.

სახელმწიფო გამომცემლობა, ე. ი. ის გამომცემლობა, რომელიც უნდა მიაწოდოს მუშებს და გლეხებს იაფფასიანი გამოცემანი, რომლის საშუალებითაც მათ, უნდა განავითარონ თავიანთი კლასიური თვითშეგნება, ჩვენში სათანადო სიმაღლეზე არ იდგა, მხოლოდ საშუალების უქონლობის გამო, თუმცა წინანდელ მთავრობებსაც არ შეუძლიათ დაიკვეხონ, რომ მათ მეტი გააკეთეს იმისა, რასაც ამ დარგში საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწია.

ამიერიდან შეგვიძლია ვიყოთ დარწმუნებული, რომ სახელმწიფო გამომცემლობას მტკიცე საძირკველი ეყრება და საქართველოს მუშებს და გლეხებს საშუალება ექნებათ მინიმალურ ფასებში (როგორც თვით გამომცემლობას უჯდება) შეიძინონ ყველა ის გამოცემანი, რომელიც საჭიროა მათი და მათი შვილების გონებრივი განვითარების და კლასიური თვითშეგნებისათვის.

არა ნაკლებ როლს თამაშობს საქართველოს მუშების და გლეხების კულტურულ ცხოვრებისათვის. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება იმავე თარიღით სახალხო ბანკის მოგების განაწილების შესახებ.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ მოგება პირველ წლიურ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ გარდა 50 პროცენტისა, რომელიც უნდა გადაირიცხოს სათადარიგო თანხაში და 10 პროცენტისა, რომელიც უნდა გადაიდოს თანამშრომელთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, უნდა მოხმარდეს რესპუბლიკის კულტურულ საჭიროებას. ამგვარად ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, თეატრების, კინემატოგრაფების, მუშათა კლუბების, მუშათა და გლეხთა სახლების გახსნა ფართოთ იქნება დაყენებული.

ასე ხმარობს სახალხო ქონებას ბოლშევიკების „ბარბაროსული“ მთავრობა. და ძალა უნებურად თვითონვე ჩვენგან ებადება კითხვა: რა მდგომარეობაში იქნებოდა საქართველო, რომ აქ საბჭოთა ხელისუფლება, 5 წლით ადრე დამყარებულიყო, რომ ამ ხელისუფლებას მიეღო 1918 წლის საქართველო და არა 3 წლის განმავლობაში გაქურდული მენშევიკებისაგან, ხოლო გაქცევის წინ სრულიად გაძარცული ამ დიდი ყაჩაღების ფართო ზომებით და ჯილდოებულ, მაგრამ წვრილფეხა ქურდების მიერ.

ახალგაზრდათა კომინტერნის მესამე მსოფლიო კონგრესი

III

ახალგაზრდა მუშათა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა ხასიათდება არა მარტო ეკონომიური და ანტიმილიტარისტულ მუშაობის წარმოებით, არამედ მის წინაშე ისმება მთელი რიგი კითხვებისა, რომელთა განხილვას, მესამე კონგრესმა საკმაო დრო და ენერგია მოანდომა.

პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის წარმოების აუცილებლობა, კომუნისტურ ახალგაზრდობის შორის, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მუშათა ახალგაზრდობა უნდა გაეცნოს საზოგადოების განვითარების კანონებს, წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებას და მის დაძლევას. ამ მიზნით, მესამე კონგრესის დადგენილების მიხედვით, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირები ეცდებიან, პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა გადაიტანონ მუშათა ახალგაზრდობის ფართო წრეებში, რომ ეს უკანასკნელი დაიხსნან ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენისაგან. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირები ცდილობენ, ამაღლონ მუშათა ახალგაზრდობის განვითარების დონე. პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის წარმოების დროს, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირები ეცდებიან, უპირატესობა დაუთმონ სოციალურ მეცნიერებას, მაგრამ ამავე დროს შესაფერი ყურადღება ექნება მიქცეული ბუნების მეტყველებას, ლიტერატურას და ხელოვნებას, რომ ახლო მომავალში ახალგაზრდათა კომუნისტურმა ორგანიზაციამ გამოზარდოს კადრი პროლეტარულ ინტელიგენციის, რომელიც სულით და ხორცით დაკავშირებული იქნება მუშათა კლასთან.

პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობის ფორმა, სამრეწველო დარგებში, იწარმოება მუშათა ახალგაზრდობის ფსიხოლოგიურ მოთხოვნილების მიხედვით.

ქალაქის პროლეტარულ ორგანიზაციების მოვალეობას შეადგენს, მესამე კონგრესზე მიღებულ პროგრამის მიხედვით, საკმაო ენერგია მოანდომონ განმანათლებელ მუშაობას, სოფლის ახალგაზრდობის შორის. ამრიგად მესამე კონგრესმა, მუშათა ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდა, მათი შეიარაღება მარქსიზმის თეორიით, სცნო მორიგ პირობად პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისთვის.

მესამე კონგრესმა განიხილა აგრეთვე პროგრამაც ახალგაზრდათა სოციალისტური მოძრაობის მთავარ შტოს, არაოდეს არ უარყვია ის მთავარი პრინციპები, რომელიც საფუძვლად დაედო ახალგაზრდათა ინტერნაციონალის 1907 წ. შტუტგარტის კონგრესზე მიღებულ პროგრამას. მას შემდეგ, მუშათა ახალგაზრდობის სოციალისტური მოძრაობა ხასიათდება რევოლიუციონური შემოქმედებითი მუშაობის წარმოებით თავის კლასიური პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც თავის დროზე შემუშავებული იქმნა, უკვდავ კარლ ლიბკნეხტის ხელმძღვანელობით მუშათა ახალგაზრდობის სოციალისტურ ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა, სულით შერჩა თავის ნაცად რევოლიუციონურ და შეურიგებელ კლასიური ბრძოლის მეთოდებს იმ დროსაც, როდესაც მეორე ინტერნაციონალმა უარყო ის. [illegible] წინააღმდეგ პირველი გალაშქრება ახალგაზრდათა მოძრაობის მიერ, გამოიხატა ახალგაზრდათა სოციალისტურ ორგანიზაციების ბერნის კონფერენციით 1915 წელს. ეს მომენტი ახალგაზრდობის მოძრაობაში, ხასიათდება, შტუტგარტის კონგრესის პროგრამის მთავარ დებულების დაცვის და განხორციელების ცდაში. ახალგაზრდათა კომინტერნის პროგრამა მიღებული იქნა მის პირველ კონგრესზე ბერლინში 1919 წელს. მისი მესამე კონგრესზე განხილვა გამოწვეული იყო კომუნისტური კავშირების მუშაობის იმ ახალ ფორმების გამო, რომელთა მიღებას ითხოვს ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობის მდგომარეობა კაპიტალისტური წესწყობილების მიერ გამოწვეულ ეკონომიურ და სოციალურ პოლიტიკურ კრიზისის პირობებში. პროგრამაში უნდა შესულიყო დებულებანი იმ მასალის მიხედვით, რომელიც დაგროვდა ახალი მეთოდების გამოყენების საჭიროების გამო. კონგრესმა მიიღო პროგრამის პროექტი, რომელსაც საბოლოოდ დაამტკიცებს აღმასკომის გაფართოებული პლენუმი.

მესამე კონგრესმა ცვლილება შეიტანა კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტურ ქვეყნებში არსებულ ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირების **ორგანიზაციულ სტრუქტურაშიაც.** დღემდის ახალგაზრდათა კომინტერნის სექციებს ამ ქვეყნებში არ ჰქონდათ უჯრედები ფაბრიკებში, ქარხნებში და სახელოსნოებში, ე. ი. ყველგან, სადაც მუშათა ახალგაზრდობა დაქირავებულ შრომას ეწევა, არამედ კომკავშირის ჯგუფები არსებობდენ მხოლოდ იქ, სადაც რამოდენიმე ახალგაზრდა კომუნისტი ცხოვრობდა. ცხადია, ასეთი განკერძოება საწარმოო დარგებიდან ხელს ვერ შეუწყობდა კომკავშირის დაახლოვებას მუშათა ახალგაზრდობის ფართო მასებთან და მით შეუძლებელს ქმნიდა განხორციელებას მეორე კონგრესის ლოზუნგებისას მასებთან დაახლოვების შესახებ. მესამე კონგრესის დადგენილებასთან ერთად, კომინტერნის ყველა სექციები კაპიტალისტურ ქვეყნებში, ჯგუფების არსებობას საცხოვრებელ ადგილიდან გადაიტანენ იქ, სადაც ახალგაზრდობა ყოველდღიურ შრომას ეწევა. **კომკავშირის ორგანიზაციული და პოლიტიკურ კულტურული მუშაობა გადაიტანება ფაბრიკებში, ქარხნებში, მაღაროებში და სახელოსნოებში, მათ შორის კომუჯრედების და [illegible] მეოხებით. ამ გზით, გაადვილდება მუშათა ახალგაზრდობის ფართო წრეების შემოერთება კომკავშირის გარშემო და ამ უკანასკნელ ხელში გადაიქცევა მის უკეთ ორგანიზაციით, რაც აუცილებელი პირობაა მუშათა ახალგაზრდობის მთლიანი ფრონტის შექმნისათვის წინააღმდეგ ბურჟუაზიის და რეაქციისა.**

მესამე კონგრესმა ხაზი გაუსვა ამ ნიშნით მუშაობის გაძლიერების საჭიროებას აღმოსავლეთის ქვეყნებში: იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში, ოსმალეთში, კორეაში და სხვ.

მესამე კონგრესამდის წარმოებულმა მუშაობამ აღმოსავლეთის ქვეყნებში, უკვე თავისი ნაყოფი გამოიღო მთელ რიგ კოლონიალურ ქვეყნებში უკვე არსებობს უჯრედები ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა. მუშაობის კიდევ უფრო ფართო მასშტაბით წარმოება შესაძლებლად შექმნის დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის უღელ ქვეშ მყოფ ახალგაზრდობის ძლიერ ორგანიზაციების შექმნას და მათ ჩაბმას მუშათა კლასის საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის ფერხულში.

მესამე კონგრესმა აღიარა მნიშვნელობა იმ მუშაობის, რომელსაც ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირები აწარმოებენ **სპორტიულ ორგანიზაციების და ტურიზმის და [illegible] მოძრაობის განვითარებისთვის.** ბურჟუაზიის წინაშე დაისვა კითხვა, გამოიყენოს სპორტიული ორგანიზაციები პროლეტარიატის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში. ყველა იმ სახელმწიფოებში, სადაც თავი იჩინა ფაშიზმმა, სპორტიული ორგანიზაციები მათ მხარეზე აღმოჩნდა. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირები აწარმოებენ მუშაობას, მესამე კონგრესის დადგენილების მიხედვით, არა მარტო მუშათა ცალკე სპორტიულ მოძრაობის განვითარებისათვის, არამედ გავლენის მოსაპოვებლად არსებულ ბურჟუაზიულ სპორტიულ ორგანიზაციებშიც, რომ მათ ნაწილს მაინც აცდეს მუშათა კლასის წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონური ბრძოლა და მეორე მხრივ ხელი შეუწყონ სპორტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გადასვლას პროლეტარიატის ხელში სპორტ ინტერნის გაძლიერებით.

დასასრულ აღვნიშნოთ, ახალგაზრდათა კომუნისტურ მოძრაობის დამოკიდებულებას, ეგრეთ წოდებულ „სოციალისტურ“ მე 2 და [illegible] ე. ი. ახალგაზრდათა მეორე და 2 ½ ინტერნაციონალებთან.

მესამე კონგრესს უკვე ჰქონდა მდიდარი გაკვეთილები მოწინააღმდეგეთა მოღვაწეობიდან. ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის მიმართვა ახალგაზრდათა ინტერნაციონალებისადმი, მუშათა ახალგაზრდობის მთლიანი ფრონტის შექმნის მიზნით საერთაშორისო კონგრესის მოწვევის შესახებ, უარყოფილი იქნა მათ მიერ, რადგან ისინი მისდევენ მეორე და ორ ნახევარ ინტერნაციონალებს.

ამის შემდეგ მესამე კონგრესს დარჩენოდა ეთქვა, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირები, მოწინააღმდეგებთან ყოველგვარ კავშირის გარეშე, განაგრძობენ მაინც ყოველდღიურ რევოლიუციონურ ბრძოლას კაპიტალისტურ წესწყობილების წინააღმდეგ.

ამ ბრძოლის აუცილებლობაში დარწმუნდება ის ახალგაზრდობაც, რომელიც მოწინააღმდეგეთა ბანაკში იქნება.

ახალგაზრდათა კომკავშირების პრაქტიკული მუშაობა დააჩქარებს ახალგაზრდათა მეორე და ორ-ნახევარ ინტერნაციონალების კრახს. ახალგაზრდათა მეორე და ორ-ნახევარ ინტერნაციონალების შეერთება კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მათ ოპორტიუნისტურ ფიზიონომიის გამოაშკარავებას მუშათა ახალგაზრდობის ფართო მასის წინაშე.

ამ რიგად, ახალგაზრდათა კომინტერნის მესამე კონგრესმა, ახალი ენერგია შემატა კომუნისტურ მოძრაობას და გააძლიერა კაპიტალისტურ წესწყობილების წინააღმდეგ მებრძოლ მუშათა ახალგაზრდობის შეუპოვარი ბრძოლის წყურვილი მუშათა კლასის რევოლიუციონურ დიქტატურის განხორციელებისათვის.

ახალგაზრდათა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა პირნათლად შეასრულებს ისტორიისაგან დაკისრებულ დიდ როლს.

კოტე გორდელაძე.

საბჭოთა მეათე ყრილობა

რეზოლიუციები

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი

მოსკოვი. 29 დეკემბ. 27 დეკემბერს საღამოს სხდომაზე ამხ. სტალინის წინადადებით საბჭოთა ყრილობამ ერთხმად, უკამათოდ, მიიღო რეზოლიუცია სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ.

წაკითხულ და ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუციები ამხ. ამხ. ბოგდანოვის, ლუნაჩარსკის, მესიაცევის და სოკოლნიკოვის მოხსენებების გამო.

სახალხო განათლება

რეზოლიუციაში ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების გამო ნათქვამია: „განათლების ფრონტზე უკან დახევა შეჩერებულ უნდა იქნეს. ყველა აღმასკომებმა უნდა მიიღოს საჭირო ზომები სახალხო განათლებისათვის მაქსიმალური დახმარების გასაწევად. სახალხო კომისართა საბჭოს ევალება გამონახოს სათანადო საშუალება საერთო სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების სახალხო კომისარიატის წილის გადიდებისათვის“. რეზოლიუცია ხაზს უსვამს განათლების მუშაკთა მდგომარეობის მატერიალურად გაუმჯობესების აუცილებლობას.

მრეწველობა

რეზოლიუცია ამხ. ბოგდანოვის მოხსენების გამო აუცილებლად სთვლის სათანადო ზომების მიღებას სახელმწიფო მრეწველობის განვითარებისათვის და მისი რეგულირებით უზრუნველყოფისათვის. საჭიროა ფართე ღონისძიებანი ბამბის, სელის და თამბაქოს კულტურის აღორძინებისა და საქონლის მოშენების განვითარებისათვის. საჭირო ზომების მიღება ჩვენი ექსპორტის გამოცოცხლების ფრონტში.

სასოფლო მეურნეობა

რეზოლიუცია ამხ. იაკოვლევის მოხსენების გამო, მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოებს მიწის კოდექსის ცხოვრებაში დაუყოვნებლივ გატარებისაკენ, აუცილებლად სოფლის სასოფლო სამეურნეო კოოპერაციისათვის დახმარების გაწევას, გლეხებისათვის ფართე დახმარებას თესლის საქმეში, სათესლე მასალის და ინვენტარის შეძენის საქმეში, სახელმწიფო და კოოპერატიული კრედიტების ორგანიზაციის გზით. მიწად მოქმედების სახ. კომისარიატს ევალება მიიღოს ყველა ზომები საქონლის ჯიშის გაუმჯობესებისათვის და აგრეთვე მიიღოს მთელი რიგი ღონისძიებათა დამშეულ გუბერნიებში სასოფლო მეურნეობის მთელი სისტემის შესაცვლელად.

ფინანსები.

რეზოლიუციაში, ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენების გამო, აღნიშნულია, რომ მთავრობის ფინანსიური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა რესურსების წესიერი და მიზან შეწონილი განაწილება სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ტრანსპორტის შორის. ყრილობა იწონებს ფინანსთა სახ. კომისარიატის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ბიუჯეტის მაქსიმალური წონასწორობისაკენ. ბიუჯეტში უნდა შევიდეს მხოლოდ ისეთი ხარჯები, რომელთა დაფარვა სხვა წესით შეუძლებელია. ადგილობრივი ხარჯები უნდა დაფარულ იქნეს ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე. რეზოლიუცია ხაზს უსვამს პირდაპირი გადასახადების გაძლიერების აუცილებლობას ქონების და შემოსავლის კვალობაზე გადასახადების სახით. მიმდინარე წლის მორიგი ამოცანაა—მძიმე მრეწველობის უმთავრესი დარგების ფინანსიურად უზრუნველყოფა, სასოფლო მეურნეობის კრედიტის ორგანიზაცია, კოოპერაციისათვის დახმარების გაწევა. საჭიროა მივაღწიოთ სამუშაო ხელფასის ჯეროვან დონემდე.

ყრილობის მიმართვა მსოფლიოს ხალხებს.

იმავე სხდომაზე ამხ. ენუქიძე აქვეყნებს ყრილობის მიმართვას მსოფლიოს ხალხებისადმი. მიმართვაში ნათქვამია: „მეათე ყრილობა მუშურ გლეხური რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო,—ათეულ მილიონ მუშებისა და გლეხების სახელით აცხადებს, რომ ის მიილტვის მშვიდობიანობისაკენ. [illegible] ჩვენს მოწოდებას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ყოველ გვარმა ცდამ, მიმართულმა განიარაღებისაკენ, უნაყოფოდ ჩაიარა, მან მაინც შეამცირა მნიშვნელოვნად თავისი არმია და ფიქრობს დაიყვანოს ის 600,000 კაცამდე და ამით დაამტკიცოს თავისი ერთგულება მშვიდობიანობის იდეისადმი.

სამანდატო კომისიის მოხსენება.

სამანდატო კომისიამ წარმოადგინა თავისი მოხსენება, საიდანაც ირკვევა, რომ ყრილობას გადამწყვეტი ხმით ესწრება 1217 დელეგატი და სათათბირო ხმით 510 დელ. დელეგატებში 80 ქალია.

ლატვიის წარმომადგენლის განცხადება.

რუსეთში ჩამოსულ ლატვიის 97 კომუნისტების სახელით კრისტოლი აკეთებს შემდეგ განცხადებას: „ჩვენ წარმოვადგენთ მცირე ჯგუფს, რომელმაც შეძლო ლატვიის ციხეებიდან თავის დაღწევა, სადაც მოთავსებულია ათასეული მუშა და გლეხი. თეთრი ლატვია შექმნა ყველაზე უსასტიკეს კონტრ-რევოლიუციის სიმაგრედ. იგი სპობს კომუნისტურ პარტიის საუკეთესო წევრებს. ჩვენ მადლობას უხდით საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც მძლავრი ხელით გაგვანთავისუფლა ლატვიის ციხეებიდან. ჩვენ მზად ვართ ჩვენი ძალღონე შევწიროთ საბჭოთა რუსეთს.

ცენტრალური აღმასკომის არჩევნები.

არჩეულ იქნა სრ. რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 207 წევრის და 116 კანდიდატის შემადგენლობით.

ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვა.

ამხ. კალინინი საბოლოო სიტყვაში აღნიშნავს, რომ მეათე ყრილობამ, გადაწყვიტა რა საბჭოთა რესპუბლიკების მთლიან სახელმწიფოში გაერთიანების საკითხი, შეასრულა თავისი ისტორიული როლი. „ჩვენთვის ძვირფასია, სთქვა ამხ. კალინინმა, წითელი დროშა ხუთ საყვარელ ასოებით რ. ს. ფ. ს. რ., რომელიც მორწყულია მუშების და გლეხების სისხლით უთვალავ ბრძოლაში. მაგრამ ჩვენ ვხრით წითელ დროშას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინაშე. ეს დროშა ხელთ აქვს ამხ. ლენინს. წინ, მაღლა ასწიეთ თქვენი დროშა, რათა მთელი ქვეყნის ჩაგრულებს დამონებულებს შეეძლოთ მისი დანახვა“.

რადიო-დეპეშები

ინტერვიუ ამხ. რაკოვსკისთან

პარიზის გაზეთ „ტანში“ დაბეჭდილია შემდეგი ინტერვიუ ამხ. რაკოვსკისთან: [illegible] თქვენ გენუაში, სთქვა ამხ. რაკოვსკიმ, როდესაც განვაცხადე, რომ რუსეთი შესძლებს აღორძინებას თავი საკუთარი საშუალებებით, უცხოეთის კაპიტალის დაუხმარებლად. მაგრამ, რასაკვირველია, ეს აღორძინება ნელი ტემპით მოხდება. ეხლა დაბეჯითებით და ფაქტებით ხელში, შემიძლია დავამტკიცო ის, რაც მე ვსთქვი გენუაში.“

რუსეთის საერთო ეკონომიურ მდგომარეობის დახასიათების შემდეგ რაკოვსკი ეხება უკრაინის მდგომარეობას „შაქრის წარმოებას, სთქვა რაკოვსკიმ, უჭირავს, როგორც იცით, პირველი ადგილი ჩვენს სამრეწველო ორგანიზმში, მაშინ როდესაც 1921 წელს შაქრის წარმოება აღწევდა 3,063,000 ფუთს (რომელთაგან მხოლოდ 457,900 ფუთ. არის დამუშავებული უკრაინის გარეშე) 1922 წელს ის აღწევს 13147,00 ფუთს (რომელთაგან უკრაინის გარეშე დამუშავებულია 2,532 00 ფუთი) ეს მოჭრილობის ნაყოფიერება უფრო ომამდე არსებულ დამუშავების ერთ მეოთხედს. რათა მივაღწიოთ ამ შედეგებს, ჩვენ დავთესეთ უკრაინაში 1921 წ. 77550 დეს. 1922 წელს 128,000 დეს, ხოლო 1922 წლისათვის ჩვენ განზრახული გვაქვს 195,000 დესიატინის დათესვა. ამ ჟამად მთელი შაქრის მრეწველობა ხელში უპყრავს სახელმწიფო ტრესტს, რომელსაც მოეპოვება 235 ფაბრიკა. უკრაინის 195 ქარხნიდან ამ ჟამად მუშაობს 75 ქარხანა, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალ წლისათვის ავამუშავებთ კიდევ 29 ქარხანას.

უმთავრეს დაბრკოლებას შაქრის მრეწველობის განვითარებისათვის წარმოადგენს საბრუნავი კაპიტალის უქონლობა. შაქრის ტრესტის დაარსებისას, შედგენილი იყო ხარჯთაღრიცხვა 29 მილ. მან. ოქროთი, მაგრამ როდესაც ტრესტმა დაიწყო მუშაობა, შაქრის მარაგის რეალიზაციამ მოგვცა საჭირო საბრუნავ კაპიტალის მხოლოდ 35 პროცენტი. ამიტომ ტრესტი იძულებული გახდა მიემართა სესხისათვის.

გლეხები დაგვეთანხმნენ, დახმარება გაგვიწიეს ჭარხლის უკრედიტოდ დათესვაზე.

სახელმწიფო ბანკმა თავის მხრივ გაიღო კრედიტი 25 მილ. ქ. მანეთის რაოდენობით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტრესტმა მიიღო საჭირო კაპიტალის მხოლოდ ნახევარი.

1922 წლის განმავლობაში შაქრის მრეწველობას გადაეღობა ახალი დაბრკოლება—გადასახადი შაქარზე, რომელიც აღწევდა შაქრის ბაზრის ფასის ნახევარს. ამ გადასახადმა გამოიწვია ფასის აწევა შაქარზე და შეამცირა მისი მოხმარება. ამ ჟამად ჩვენს შაქრის პროდუქციას შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნილება ჩვენს შინაურ ბაზარზე, მაგრამ მომავალში ის ჰპოვებს ახალ ბაზრებს აღმოსავლეთის მხარეებში. ტრესტმა უკვე მოახდინა რამოდენიმე ოპერაცია სპარსეთში. უცხოეთის კაპიტალს შეუძლია დაინტერესდეს ჩვენი შაქრის მრეწველობით ან სახელმწიფო ტრესტში მონაწილეობით, ან კონცესიების ფორმებში, სახელმწიფოს მონაწილეობის მიღებით, ან მიუღებლად. მე პირადათ ვფიქრობ, რომ კაპიტალისტებისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, თუ მთავრობა მონაწილეობას მიიღებს კონცესიებში, ვინაიდან იმ სახელმწიფოში, რომელშიაც მძიმე მრეწველობა, ტრანსპორტი მთავრობის ხელშია, სადაც ჭარხლის მისაღებად საქმე უნდა ჰქონდეთ გლეხებთან, მთავრობის დახმარება წარმოადგენს აუცილებელ ფაქტორს მრეწველობის განვითარებისა და მრეწველობაში დაბანდებულ კაპიტალის მოგების ზრდისათვის.

ნახშირის მრეწველობა ამ ჟამად დაცემის პერიოდში იმყოფება. თუმცა 1921 წლის პირველ 7 თვეში მან 166 მილიონ ფუთს მიაღწია, და იმავე პერიოდის განმავლობაში 1922 წ. მიაღწია 340 მილიონს, (აქედან 169 მილ. ნახშირი და 71 მილ. ფუთი ანტრაციტი), მაგრამ მიმდინარე წლის პირველი ტრიმესტრის განმავლობაში ჩვენ შევძელით დასახული მიზნის მხოლოდ 75 პროცენტის განხორციელება.

მეტალურგიული მრეწველობა უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეხურა მრავალი ქარხანა და მიმდინარე წლის დასაწყისში 30 000 მეტალურგ მუშამ დაჰკარგა სამუშაო და გადავიდა დამზღვევი კასების ხარჯზე. ინდუსტრიის ეს დარგი შეიძლება გამაგრდეს მხოლოდ სახელმწიფოს დახმარებით.

უკრაინის სასოფლო მეურნეობა წარმოადგენს ფართე ასპარეზს უცხოეთის კაპიტალისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ის დიდათ დაზიანდა სიმშილისაგან. თუმცა დათესილი ადგილების სივრცე 1920 და 1921 წ.წ. შეადგენდა 16 მილიონ დესიატინას, რაც უდრის მშვიდობიან დროის სათესი სივრცის 85 პროც., წარსული წლის მოსავალმა მიაღწია მხოლოდ 400—450 მილ. ფუთამდე და ეს ციფრი სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს მხარის მოთხოვნილებას. სიმშილმა დიდი მსხვერპლი გამოიწვია. მან გლეხების ფიზიკური არსებობა იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ სათესი სივრცე შემცირდა 14 მილ. დესიატინამდე. საბედნიეროდ მოსავალმა მიაღწია 800 მილ. ფუთამდე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალ წლისათვის მოსავალი კიდევ უკეთესი იქნება და ჩვენ ნამდვილად შევძლებთ გლეხებისათვის უფრო ფართე დახმარების გაწევას. წარსულ წელს უკრაინის მთავრობამ შესძლო გლეხებისათვის მხოლოდ 300.000 ფუთი საზამთრო [illegible], მიმდინარე წელს კი მის გადასაწყვეტად აქვს ამ საქმისათვის 4 200 000 ფუთი.

მიუხედავად ყველა ამ ზომებისა, [illegible] კაპიტალი, რომელიც [illegible] იქნეს თანდათანობით, იმ ზომა ხვევაში, თუ ჩვენ არ დაგვეხმარება უცხოეთის კაპიტალი. უკრაინა არის ისეთი ქვეყანა, სადაც [illegible] სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიის გაძლიერების დიდი შანსი აქვს. ყოფილ რუსეთის იმპერიის პროვინციებს შორის, უკრაინას [illegible] მიწის რაოდენობა უდრის 29 მილ. დესიატინს, რომლიდანაც მიმდინარე წელს მხოლოდ ნახევარი დამუშავდა.

ლოზანის კონფერენცია

მოკავშირეების „მშვიდობიანი დიქტატურა“.

პარიზი, 29 დეკ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ კონფერენციაზე მდგომარეობა მეტად გართულებულა. მოსალოდნელია სერიოზულ [illegible] და კონფერენციის ჩაშლის შემთხვევაში გამოცხადდეს მოკავშირეების „მშვიდობიანი დიქტატურა“.

მდგომარეობა კრიტიკულია.

ნაუენი, 29 დეკ. ლორდ კერზონმა გადამწყვეტი [illegible] ოსმალეთის მოთხოვნილებების [illegible] მდგომარეობა მეტად სერიოზულია. მოკავშირეების დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი ხელს არ მოაწერენ ხელშეკრულებას [illegible] შესახებ, რომელიც მიმართული იქნება [illegible] წინააღმდეგ. ფიქრობენ, რომ ანგორა [illegible] ოსმალეთის [illegible].

ოსმალები მოითხოვენ მოსულის დაბრუნებას.

მოსკოვი. 29 დეკემბ. ოსმალეთის დელეგაციამ ლოზანაში ლორდ კერზონს ჩააბარა მისი მემორანდუმის პასუხი მოსულის საკითხის შესახებ. პასუხში მოყვანილია ეთნოგრაფიული პოლიტიკური, ეკონომიური და სტრატეგიული მოსაზრებანი, რომლის ძალით მოსული უნდა დაებრუნოს ოსმალეთს.

„შეთანხმებული“ კომისია.

ლონდონი. 29 დეკემბერს შესდგა შეთანხმებული კომისია [illegible] დელეგაციების და ექსპერტების წარმომადგენლებისაგან, რომელიც [illegible] რამოდენიმე დღის შემდეგ [illegible] მისაღებად ან უარსაყოფად წარედგინება ოსმალეთის დელეგაციას.

კაპიტულაციების საკითხი

ლონდონი 29 დეკემბ. დღევანდელ სხდომაზე კაპიტულაციის საკითხის შესახებ ლორდ კერზონმა და მოკავშირე დელეგატებმა გამოსთქვეს ამ საკითხის შესახებ თავიანთი მოსაზრებები. შემდეგ მათ გრძელი დასაბუთებული სიტყვით პასუხი გასცა ისმეტ-ფაშამ. სხდომამ დაიწყო ინგლისის უმაღლეს კომისრის რუმბოლდის მოხსენებით, რომელიც ამტკიცებდა, რომ ოსმალებსა და მოკავშირეებს შორის შეუთანხმებლობის მიზეზი უნდა ვეძიოთ ოსმალეთში არსებულ უფლებრივ მდგომარეობაში, რომლის ცვლილების საჭიროებას ოსმალები უარყოფენ. [illegible] კომისიის თავმჯდომარემ გარსონმა განაცხადა, რომ კაპიტულაციის რეჟიმის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც უცხოელთა მოქმედებისათვის და გასამართლებისათვის შემოღებული იქნება გარანტიების ახალი სისტემა. ისმეტ-ფაშამ გრძელ სიტყვაში იცავდა ოსმალეთის თვალსაზრისს. მან სთქვა, რომ ის არ ხედავს არავითარ მიზეზებს მართლ-მსაჯულების წესების შესაცვლელად და რომ ეს წესები [illegible] იმ წესებს, რომლებიც არსებობენ სხვა სახელმწიფოებში. ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ ოსმალეთს არ შეუძლია მიიღოს მოკავშირეთა წინადადებები, ვინაიდან ისინი ოსმალეთის სუვერენიტეტის დარღვევას [illegible]. ლორდ კერზონმა [illegible] ისმეტ-ფაშის სიტყვის 3 [illegible] გამო და სთქვა, რომ უკანასკნელი სიტყვა ერთ-ერთ შეურიგებელ სიტყვათაგანია [illegible] წარმოთქმულ სიტყვებში.

კერზონმა განაცხადა, რომ ისმეტ-ფაშას სიტყვა [illegible] რომ ოსმალებს არ სურთ შეთანხმების მიღწევა, მიუხედავად იმისა, რომ ისმეტ ფაშამ რამდენიმე ხნის წინად კერძო თათბირზე გამოსთქვა სურვილი [illegible] შესახებ. დასასრულ კერზონმა ილაპარაკა ოსმალეთის მართლ-მსაჯულების ნაკლულოვანობათა შესახებ, და განაცხადა, თუ ისმეტ ფაშას სიტყვა ამ საკითხის შესახებ უკანასკნელი სიტყვაა, მაშინ, არ შეიძლება ჩვენ აქედან მივიღოთ დადებითი შედეგი. ამერიკის წარმომადგენელი ჩაილდი შეუერთდა მოკავშირეთა თვალსაზრისს. ამის შემდეგ ისმეტ ფაშამ განაცხადა, რომ მას საბოლოო პასუხის გასაცემად კიდევ სჭირია დრო.

[illegible]

ლონდონი. 29 დეკემბ. ისმეტ-ფაშის მიერ წარმოთქმულ უკანასკნელი სიტყვის გამო, ლონდონის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს სიტყვა გულისხმობს მოკავშირეების წინადადების ოსმალების მიერ არ მიღებას, რითაც მოკავშირეების ცდა ამ მხრივ დამთავრდა სრული დამარცხებით.

[illegible]

ლონდონი. 29 დეკემბ. ლოზანაში წარსულ კვირაში არსებული ოპტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, 30 დეკემბერს. 1922 წ, საღამოს 6 საათზე
აღმასკომის ბინაზე შესდგება
აღმასკომის კომფრაქციის სხდომა.
ამავე დღეს საღამოს 7 საათზე
აღმასკომის სხდომაა.
დღის წესრიგი:
ქალაქის საბჭოს ხელ-ახლად არჩევა და მიმდინარე კითხვები.
დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.
(კრ. 814 1—1) მდივანი **ხუნდაძე.**

მისტური განწყობილება შეიცვალა პესიმისტური განწყობილებით, ვინაიდან მოსალოდნელია კონფერენციის ჩაშლა. თუ ოსმალეთის დელეგაციამ განაგრძო ჯიუტობა, მაშინ მოლაპარაკების ნორმალური მსვლელობა შეუძლებელი გახდება. მოკავშირეთა დელეგაციები რამოდენიმე დღის შემდეგ შეიძლება წარუდგინონ თავიანთი უკანასკნელი დასკვნა ოსმალებს და ამ უკანასკნელებს მოუხდებათ ერთხელ და სამუდამოთ ან მიიღონ ან უარყონ მოკავშირეთა წინადადებები.

საკითხი მოსულის შესახებ.

ვაშინგტონი. 29 დეკ. ლორდ კერზონმა ოსმალეთის დელეგაციისადმი გადაცემულ ნოტაში უარყო ოსმალების მოთხოვნილება მათთვის მოსულის ვილაიეტის გადაცემის შესახებ.

მუქარა.

პარიზი. 29 დეკ. ლონდონში ყოფნის დროს, ვენიზელოსმა „დეილი ქრონიკლის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს ლოზანაში ოსმალების პოზიციის შესახებ განაცხადა: „თუ ოსმალეთმა დამაკმაყოფილებელი პასუხი არ გასცა მოკავშირეებს, მაშინ კერზონი დაბრუნდება ლონდონში“. ვენიზელოსის სიტყვით, ამისდამიხედვით ხდება ინგლისის გემების გადაჯგუფება ხმელთა შუა ზღვაზე.

ახლო აღმოსავლეთში

ეგვიპტის „ნაციონალური აღთქმა“.

ანგორა. 27 დეკემბ. ეგვიპტის დელეგაციამ ანგორაში გამოაქვეყნა ეგვიპტის ნაციონალურ აღთქმის ტექსტი: 1. მთელი ნილოსის მხრის განუსაზღვრელი დამოუკიდებლობა ეგვიპტის ბუნებრივ საზღვრების ფარგალში, 2. სუდანის შესახებ 1899 წ. ხელშეკრულების გაუქმება, 3. ნილოსის მხარის დაუყონებლივ გაწმენდა ინგლისის ჯარებისაგან, 4. ინგლისელთა ყოველგვარ პრივილეგიების გაუქმება ამ მხარეში, 5. უარყოფა ინგლისთან ყოველგვარ მოლაპარაკებისა მანამ, სანამ ინგლისს ეგვიპტის საკითხი გადაწყვეტილად მიაჩნია, 6. ინგლისის სამხედრო ოკუპაციის დროს ჩადენილ ყველა აქტების გაუქმება, 7. სუეცის არხის ნეიტრალიტეტი და მისი დაცვა დამოუკიდებელ ეგვიპტის მიერ, 8. ხალიფატის სარწმუნოებრივ ავტორიტეტის ცნობა. ეგვიპტის დელეგაციის ანგორაში ჩარევის მიზანია დაამტკიცოს ამ პროგრამის სასიცოცხლო მნიშვნელობა ეგვიპტის მთელი ხალხისათვის, განურჩევლად პარტიებისა.

ირაკში.

ანგორა. 27 დეკემბ. არაბეთის გაზეთების ცნობით, მთავრობით ირაკის მცხოვრებთა უკმაყოფილება ღებულობს აქტიურ ხასიათს. ზოგიერთ ადგილებში მცხოვრებლებმა უარი სთქვეს გადასახადების შეტანაზე. ინგლისელები ჰაეროპლანიდან ყუმბარებს უშენენ ასეთ სოფლებს. მიუხედავად ინგლისელების და ემირ ფეისულის ინტრიგანობისა ორივე სექტა (სუნიტები და შიიტები) ერთსულოვნად მოქმედობს და მათში განხეთქილებას არ აქვს ადგილი. ანგორის გაზეთები იტყობინებიან, რომ ემირი ფეისული დაშინებული მოსულის მხარის ოსმალეთისათვის გადაცემის პროექტით, ძლიერებს საპროპაგანდო მუშაობას. ფეისულმა გაგზავნა დელეგაცია, მეთაურობით (გამოტოვებულია)... და აძლევს შერიგების წინადადებას. ამასთანავე ერთად ფეისული ავრცელებს ცრუ ხმებს, რომ ინგლის-ირანის ხელშეკრულება შეცვლილი იქნება ირაკის სასარგებლოდ.

გერმანიის ამბები

კონტრ-რევოლიუცია გერმანიაში.

მოსკოვი. 29 დეკ. ჰამბურგის პოლიციამ აღმოაჩინა სტუდენტების და ყოფილ ოფიცრების ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად ქონდა დასახული რესპუბლიკანური წესწყობილების დამხობა.

გერმანიის მრავალ ადგილებში უკანასკნელ ხანებში აღმოაჩინეს იარაღის საიდუმლო საწყობები.

მოსკოვი. 29 დეკ. გერმანიის სოციალ დემოკრატმა ავგუსტ მიულერმა გერმანიის იურიდიულ საზოგადოებაში გააკეთა მოხსენება, რომელშიაც აღნიშნა, რომ გერმანიის სოციალ დემოკრატია 1918 წ. ნოემბრის გადატრიალების დროს წინააღმდეგი იყო გოჰენცოლერნების ტახტიდან გადაყენების. სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ კატასტროფის აცილებას. მაგრამ მაშინ, როდესაც ვილჰელმის გადაყენება აუცილებელი შეიქნა, [illegible] დემოკრატიამ გადას[illegible] [illegible]რობა გაუწიოს ამ მოძრაობას. მიულერის სიტყვით პარტიის [illegible] მან შესძლო წინააღმდეგობა გაეწია გერმანიის სახელმწიფო სოციალ დემოკრატიულ [illegible] გადაქცევის შესაძლებლობას.

უმუშევრობა გერმანიაში.

მოსკოვი. 29 დეკ. უმუშევართა რიცხვი გერმანიაში გაიზარდა 24.000—42.000 დე.

ავსტრიის და იტალიის დაახლოვება

ბუდაპეშტი. 29 დეკემბერი. ყოფილი ჰუნგრეთის გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი „პოშტერ ლოიდ“-ში უკეთებს კომენტარიებს ავსტრიის და იტალიის მოლაპარაკებას ამ ქვეყნების უფრო მჭიდროთ დაახლოების შესახებ, აღნიშნავს, რომ ჰუნგრეთს, რომელიც ამ ჟამად სრულიად განმარტოებულია, მოელის სლავიანური საფრთხე და ამიტომ ის ყოველივე ზომებს იხმარს, რათა გამოიყენოს ჰუნგრეთის გამაგრებისათვის ავსტრიის და იტალიის დაახლოვება. გრაფი მოუწოდებს ჰუნგრეთს დაიჭიროს უფრო მჭიდრო ურთიერთობა იტალიასთან, რაც თავის მხრივ გამოიწვევს რუმინეთის და ჰუნგრეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას, იმ გავლენის გამო, რომელიც იტალიის პოლიტიკას რუმინიაზე აქვს.

მდგომარეობა იტალიაში

მუსოლინის რეფორმები.

ნაპოლი. 29 დეკემბერი. მუსოლინი ამზადებს იტალიაში „წმინდა განათლების სისტემის“ ახალ რეფორმას, რომლის თანახმადაც უპირატესობა ენიჭება რელიგიურ აღზრდას.

მეფის გვარდია იტალიაში.

მოსკოვი. 29 დეკ. იტალიის მთავრობამ პრინციპიალურად გადაწყვიტა გაუქმოს მეფის გვარდია.

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთის კომუნისტთა შორის.

მოსკოვი. 29 დეკ. საფრანგეთის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა პარიზის ბულვარებში მოაწყეს დემონსტრაციები და მოითხოვეს მარტის განთავისუფლება. პოლიციასთან შეტაკების შემდეგ დაპატიმრებულია 143 კაცი.

ფაშისტები ჩეხო-სლოვაკიაში.

მოსკოვი. 29 დეკ. ჩეხიის მთავრობამ მიიღო ცნობები ფაშისტების შეთქმულების შესახებ, რომელნიც ამზადებენ სახელმწიფო გადატრიალებას. ნაციონალ ლიბერალების ლიდერმა კრამარჟმა მიმართა ყველა ნაციონალისტურ ორგანიზაციებს დეკლარაციით ერის ჯანსაღ ელემენტების გაერთიანების შესახებ.

უმუშევრობა ინგლისში.

მოსკოვი. 29 დეკ. გლაზგოს უმუშევართა დეპუტაციის მიღების დროს ერთმა დელეგატთაგანმა განუცხადა ბონარ ლოუს რომ მთავრობამ სრული გულგრილობა გამოიჩინა უმუშევართა საკითხის გადაწყვეტის დროს. მომავალში უმუშევართა ბრძოლა მასიურ ხასიათს მიიღებს.

პოლონეთის ამბები.

ვარშავა. გაზ. „რეჩ პოსპოლიტა“ ცნობით ლოძში გაზის ქარხნებში მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასის 40 პროცენტით გადიდების შემდეგ გაფიცვები შესწყდა. აქვე გაფიცნენ მეეტლენი, რომელნიც მოითხოვენ ნიხრის 200 პროცენტით გადიდებას. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ უარი უთხრა მათ ამ მოთხოვნილებაზე იმ საბუთით, რომ მომქმედი ნიხრი 3 ჯერ მეტია საზღვარ-გარეთ მიღებულ ნიხრზე.

ერთა ლიგა.

ნაპოლი 29 დეკ. ლორდი ბალფური 23 იანვრისათვის იწვევს ჟენევაში ერთა ლიგის კომისიას ავსტრიის საქმეების გასარჩევათ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სასოფლო-სამეურნეო კურსები.

მოსკოვი, 28 დეკემბერი. ვოლოგდის გუბერნიის 19 რაიონში ეწყობა მოკლე ვადიანი სასოფლო-სამეურნეო კურსები: ძირითადი საგნები: მებაღეობა, მესაქონლეობა, კოოპერაცია.

სახალხო-სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 28 დეკ. ეკატერინბურგის საფეიქრო ქარხნებმა შეასრულეს წარმოებითი პროგრამის 100 პროც.

დახმარება პოლონელ კომუნისტებს.

მოსკოვი. 28 დეკ. ციხეში მყოფ პოლონელ კომუნისტების სასარგებლოდ, პეტროგრადში აგროვებენ დახმარებას. ჯერ-ჯერობით პოლონელ ამხანაგებს პეტროგრადიდან გაეგზავნა 190.000 მ.

ახალგაზრდათა შორის.

მოსკოვი. 29 დეკ. 27 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა მუშათა ახალგაზრდობის პირველი საქალაქო კონფერენცია, რომელიც მოწვეული იქნა ახალგაზრდობის პროფკავშირებში მიზიდვის მიზნით. კონფერენციას დაესწრო 600 დელეგატი. გამოტანილია დადგენილება—გააძლიერონ მუშათა ახალგაზრდობის მონაწილეობა პროფორგანიზაციებში, აგრეთვე სერიოზული ყურადღება მიაქციონ მოზარდთა შრომის დაცვის კანონის სათანადოდ ასრულებას და მოაწყონ ახალგაზრდობის კუთხეები მოზრდილთა კლუბებში და სხვ.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 29 დეკ. „წითელმა პუტილოველმა“ დაამზადა ნოემბერში 18,730 ფუთი ფოლადი ნაცვლად ნავარაუდევ 10,212 ფუთისა.

საქონელი საზღვარ-გარეთიდან.

მოსკოვი. 29 დეკემბ. უკანასკნელ დღეებში მოსული გემებით პეტროგრადში შემოტანილი იქნა 1.500 ბოჭკა სელდები.

კოროლენკოს გარდაცვალების წლისთავი.

მოსკოვი. 29 დეკ. კოროლენკოს გარდაცვალების წლის თავზე პოლტავაში გარდაცვალებულის სახლობაზე საბჭოთა ხელისუფლების მიერ დიდი ზეიმით გახსნილი იქნა სახალხო სახლი.

პოლონელ კომუნისტების სასარგებლოთ.

მოსკოვი, 29 დეკ. ნიკოლაევის მელითონეთა საერთო საქალაქო კონფერენციამ ერთხმად დაადგინა სამუშაო ხელფასის 2 პროც. გადადებულ იქნას დაპატიმრებულ პოლონელ კომუნისტების სასარგებლოთ. მელითონეთა ამ დადგენილებას მიბაძა მთელმა რიგმა პროლეტარიატის ორგანიზაციებმა.

ქაღალდის ფაბრიკა.

მოსკოვი. 29 დეკ. ტორჟოკში ამუშავდა ქაღალდის ფაბრიკა, რომლის ნაყოფიერება უდრის ომამდე მიღებულ ნორმას. დაწესებულია სამუშაოზე ათასამდე ახალი მუშა.

რუსეთ-იტალიის სავაჭრო დამოკიდებულება

მილანი. 28 დეკემბერი. ტრიესტის გაზეთები ვრცელ წერილებს უძღვნიან ტრიესტის ნავთსადგურის აღდგენის საკითხს. წერილებში, სხვათა შორის ნათქვამია, რომ „როგორც კი რუსეთი მოაწესრიგებს თავის ექსპორტს, ტრიესტი შეძლებს მისი სატყეო მასალის გასაღებას ხელი შეუწყოს, რითაც ერთგვარი შემოსავალი ექნება აგრეთვე ტრიესტის ნავთსადგურსაც. ომამდე რუსეთიდან შავი ზღვით შემოტანილი საქონელი აღწევდა 473 000 კვინტალს და რუსეთში გატანილი კი 62 000 კვინტალს. ტრიესტის ნავთსადგურს მოეპოვება ისეთი აპარატი, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია დაიტიოს უამრავი საექსპორტო და საიმპორტო საქონელი. რუსეთის ეკონომიური პირობების და შავ ზღვაზე სავაჭრო მიმოსვლის მოწესრიგებით ტრიესტს კვლავ შეეძლება შეასრულოს სავაჭრო შუამავლის როლი აღმოსავლეთთან. ტრიესტში შეიძლება დაარსებული იქნას რუსეთიდან შემოტანილი ნაწარმოებთათვის და ამავე ქვეყანაში გადასაგზავნ საქონლისათვის ვებერთელა ცენტრალური საწყობები“.

უცხოეთის ცხოვრება

ნიუბოლდის პასუხი.

კაპიტალისტური პრესა ინგლისის პარლამენტში პირველად არჩეულ კომუნის ნიუბოლდზე თავდასხმის დროს მას უმთავრესად ბრალს სდებდა იმაში, რომ ის მოქმედებს მოსკოვის „კარნახით“. ამ ბრალდების საპასუხოდ ნიუბოლდმა „მანჩესტერ გარდიან“-ში გამოაქვეყნა შემდეგი წერილი: „კომინტერნის მსოფლიო კონგრესები აქამდე თავისუფლად იკრიბებოდა მხოლოდ წითელი არმიის ხიშტების მფარველობის ქვეშ. მანამ მსოფლიო ბურჟუაზია არ იქნება განადგურებული, კომუნიზმის მთავარი შტაბი მოსკოვში დარჩება მაგრამ ეს შტაბი დაიძვრება დასავლეთისაკენ ისეთივე ძლიერი მოძრაობით, როგორითაც რესპუბლიკანიზმის შტაბი მიემართებოდა მე 19 ე საუკუნის განმავლობაში პარიზ დან მსოფლიოს ყველა კუთხეებისაკენ.

მუშა დეპუტატების პარტიული ფიცი.

6 დეკემბერს ირლანდიის პარლამენტის გახსნისას მუშათა ფრაქციის ლიდერმა ტომას ჯონსონმა გააკეთა შემდეგი განცხადება: მუშათა პარტია აცხადებს, რომ ხელშეკრულება, რომლის ძალით დაწესდა ირლანდიის კონსტიტუცია, ირლანდიის ხალხს ძალით მოახვიეს თავზე. ამის გამო მუშათა ფრაქცია არ სთვლის თავის თავს შებოჭილად მეფის ერთგულობის ფიცის აქტით და იტოვებს მოქმედების თავისუფლებას იმ შემთხვევისთვის, თუ ირლანდიის ხალხი მოისურვებს ხელშეკრულების უარყოფას და კონსტიტუციის შეცვლას.

ფაშიზმი ჩეხო-სლოვაკიაში

ჩეხოსლოვაკიის ერთ ერთ ქალაქში გამართულ კრებაზე ილაპარაკა ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიის ცნობილმა ბელადმა ექ. კრამარჟმა, რომელმაც თავის სატყვაში აღნიშნა ბურჟუაზიის შიში კომუნიზმის წინაშე მისი ერთიანი პროლეტარული ფრონტის ტაქტიკით. სხვათაშორის, კრამარჟმა სთქვა: „მინდა ვილაპარაკო სერიოზულ საქმეზე“. შერალმა მოსკოვში განაცხადა, რომ მომავალ პარლამენტში აღარ იქნება ჩეხიის ნაციონალური უმრავლესობა იმიტომ, რომ კომუნისტური პარტია იზრდება. შერალს ახალი არაფერი უთქვამს, ვინაიდან ეს გარემოება დიდ ზრუნვას იწვევს ჩეხო-სლოვაკიის ყველა კარგ ნაციონალისტში. თუ ეხლა მოხდება არჩევნები, კომუნისტები მიიღებენ იმდენ მანდატს, რომ ეხლანდელი უმრავლესობა გახდება უმცირესობა და ეს საქმე სერიოზულია. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ჩვენ არ ჩვენებში ვერ მივიღებთ უმრავლესობას. ეს სამარცხვინო იქნებოდა ხალხისთვის. მაშინ აუცილებლად დაიწყებოდა ბრძოლა. მე პირადათ არ მეშინია ფაშიზმის. თუ საჭირო იქნება, რომ ჩვენ ამ შემთხვევაშიაც კვლავ გავანთავისუფლოდ სამშობლო შინაურ მტრებისაგან, მაშინ ჩვენ ჩვენს თავს უნდა უთხრათ: „სამშობლო განსაცდელშია—და მაშინ დასაშვებია ყველაფერი, რაც სხვა შემთხვევაში დაუშვებელია“. ჩეხიის ბურჟუაზიის ეს სიტყვა ახასიათებს ჩეხო სლოვაკიის პოლიტიკურ ურთიერთობას. გამ[illegible]ბას უნდა დავუმატოთ, რომ კრება, რომელზედაც კრამარჟმა წარმოსთქვა თავის „პროგრამული“ სიტყვა კომუნისტების წინაამდეგ, გარეკეს მუშებმა, რომელთა შორის კომუნისტების გარდა იყვნენ ისინიც რომელთა ბელადები სხედან კრამარჟის მეგობრებთან ერთად კოალიციურ მთავრობაში.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის

ტყავეულობის მუშათა შორის

5 რაიონის მეტყავეების საერთო კრებამ 28 დეკემბერს მოისმინა რა ამხ. ამოს მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა I ყრილობის შედეგების შესახებ, იგი მიესალმება ყველა მის დადგენილებებს კერძოთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის. დე, თვითეულმა პროლეტარმა იცოდეს, რომ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების განმტკიცება და სახალხო მეურნეობის აღორძინება, შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მშრომელ მასების მჭიდრო და ძმური კავშირით და გაერთიანებით. ეს ერთობა ჩვენ შეგვქმნით ბურჟუაზიის კლასიურ მტრების და მათი მსახურთა მენშევიკების, დაშნაკების და სხვათა სასიკვდილოთ.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ამიერ კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი
ბაქო.

ამხ. ლენინის სახელობის ფაბრიკაში. ამხ. ლენინის სახელობის ფაბრიკაში შრომის ნაყოფიერებამ იმატა. წარმოება მიმდინარეობს ინტენსიურად. ფაბრიკა უზრუნველყოფილია ბამბით აპრილამდე.

შრომის ბირჟა. უმუშევართათვის უფრო მიზანშეწონილ დახმარების გასაწევად და მუშაობის მიცემის გასაადვილებლად შრომის ბირჟა დაიყო შემდეგ პროფსექციებათ: კვალიფიციურ, ფიზიკურ, საკანტორო-საკანცელარიო და სავაჭრო სექციებათ მეტრეწველოვანთა, რკინისგზელთა, განათლების, რაბისის და სხვა სექციებათ.

აღმშენებლობის სეზონი. კომუნალური მეურნეობის მომარაგების განყოფილებამ მომავალ აღმშენებლობის სეზონისათვის დაიკვეთა უკრაინიდან სატყეო მასალა, რომლის მიღებას ბაქოში მოელიან ახლო ხანში. შეძენილია 3002 ფუთამდე სხვა და სხვა საღებავები. რუსეთის ქარხნებში მინების შეკვეთა დავალებული აქვს განსაკუთრებულ რწმუნებულს. გამოურკვეველია ჯერჯერობით წყალსადენისთვის და კანალიზაციისთვის საჭირო მასალების შეძენის საკითხი.

სომხეთი.

ერევანი. 29 დეკემბ. დამთავრდა ტელეფონის ქსელის გაყვანა პაშალ კეშინკენდს შორის (დარჩა ლეგესის მაზრა).

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატში. შესდგა ფოსტა ტელეგრაფის მუშაკთა საერთო ყრილობა. წლის განმავლობაში უწყების მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა უწყების რწმუნებული, ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს უწყების მუშაობას.

მუშათა ფაკულტეტი. ახალ ბაიაზეთის აღმასკომმა თავის ხარჯით გაგზავნა ორი მსმენელი ერევნის მუშათა ფაკულტეტზე.

საქართველო
ბათომი

წავიდა სტამბოლში ინგლისის დროშის ქვეშ გემი „გარველ პარკი“ 200 ტონი ტვირთით და 80 მგზავრით; ინგლისის დროშისქვეშ გემი „ტურბო“ 6.000 ტონი ნავთით.

ნავთსადგურის საწყობები. ნავთსადგურის სამმართველოში მოხდა თათბირი საწყობების მოხალისე ფლოტისთვის და საქართველოს ნაოსნობისთვის გადაცემის შესახებ. გადაცემა მოხდება 31 დეკემბერს.

ჯერ ჯერობით გადაცემულია ცენტრის საწყობები, რომლებიც ეჭირა ამერიკის მისიას.

აჭარა.

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატში. აჭარისტანის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით მიწადმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ფაღავა განთავისუფლებულია მოვალეობისაგან და მის ადგილზე დანიშნული იქნა ამხ. სულეიმან ლორთქიფანიძე. ახალ კომისარს გადაწყვეტილი აქვს მიაქციოს უმთავრესი ყურადღება მცხოვრებთათვის აგრონომიულ დახმარების გაწევას. ამ მიზნით ახალშენის და ქედას სკოლებთან არსდება ხეხილის სანერგეები და სხვა.

ადგილობრივი ჩაი. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი აღნიშნავს მოთხოვნილების მომატებას და ფასების ზრდას ადგილობრივ ჩაქვის და ოზურგეთის ჩაიზე.

გზების შეკეთება. ბათომის მაზრაში დაიწყო გზების შეკეთება მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს მთელი სოფლის მოსახლეობა, პარტიული კომკავშირის და პროფკავშირთა ორგანიზაციები და წითელ არმიელები.

აფხაზეთი

მიწათმოწყობა. სამურზაყანოს მაზრის მიწადმოქმედების განყოფილება იანვრიდან შეუდგა წინასწარ მუშაობას მიწების გასანაწილებლად მაზრის უმიწაწყლო და მცირე მიწიან გლეხებზე. მიწის ფაქტიური განაწილება დაიწყო მარტიდან. მიწები მიეცათ უმიწაწყლო და მცირე მიწიან გლეხებს დროებით სარგებლობის ნიადაგზე სახელმწიფო ფონდიდან და კერძო მემამულეებისაგან ჩამორთმეულ მიწებიდან. ამრიგად, სახელმწიფო ფონდიდან განაწილებულ იქნა 495 დეს. 900 კვ. საქ. მიწა, კერძო მემამულეებისაგან ჩამორთმეულ მიწების ფონდიდან 126 დ. 813 კვ. ს. მიწის განაწილების დროს აურეველ საჩივრებს ქონდა ადგილი.

ამ ხნის განმავლობაში გარჩეულია შემდეგი საჩივარი: წისქვილების შესახებ—10 საჩივარი; გზის—57; საერთო ხასიათის—1 125 საჩივარი; ამჟამად მიწად-მოქმედების განყოფილებაში შემოდის აურიცხელი განცხადებები საფონდო მიწაზე დასახლების ნებართვის შესახებ, მაგრამ, რადგანაც მიწად მოქმედების განყოფილებას ამ საქმის შესახებ არ აქვს მიღებული სათანადო ინსტრუქციები, ასეთი შუამდგომლობები კმაყოფილდება იშვიათ შემთხვევაში. უკანასკნელ დროს მიწად-მოქმედების განყოფილებას ენერგიულად გაყავს ახალი გზები და აგრეთვე აწარმოებს ძველ გზების შეკეთებას. მიწად მოქმედების განყოფილებამ მიწად მოქმედების კომისარიატის წინაშე აღძრა შუამდგომლობა მედიკამენტების და სამმულატორიო საგნების გაცემის შესახებ სამურზაყანოს მაზრაში საავადმყოფოს მოსაწყობა. საერთოდ დახმარება საშუალებათა უქონლობის გამო სუსტია. იმავე მიზეზით კოჭლობს აგრონომიული დახმარება.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის რიგების გაწმენდის შედეგები
(ცენტრალური გამწმენდი კომისიის ანგარიშები)

სიღნაღის მაზრა. სამაზრო პარტიული ორგანიზაცია გაწმენდის შემდეგ შემცირდა 205 კაცით ანუ მთელი შემადგენლობის 29,5 პროცენტით.

გამორიცხულთა განაწილება პარტიიდან გასვლის მიზეზების მიხედვით შემდეგია: მექანიკურად გასულია (გაწმენდის ინსტრუქციის მე 10 მუხლის თანახმად)—60 კაცი, გამორიცხულია 138 კაცი, დროებით გამორიცხულია—7, ამგვარად მექანიკურად გასულთა პროცენტი უდრის—29,2 ს, გამორიცხულთა 67,4 და დროებით გამორიცხულთა—3,4 ს.

პარტიიდან გამორიცხულთა განაწილება სოციალურ მდგომარეობის მიხედვით ასეთია:

	გამორიცხული	დროებით გამ.	მექანიკ. გამ.	18 სულ
მუშები	11	3	4	
ხელოსნები	11	—	8	19
გლეხები	103	3	45	136
მოსამსახ. და სხვ.	8	1	3	12
სულ	108	780		105

გამორიცხვის მიზეზების მიხედვით.

ყოფილი პოლიციელები და თეთრებთან სამსახურის გამო—11, არაკომუნისტური, საეჭვო და მერყევი ელემენტი—14, მექრთამეობისათვის—1, ბანდიტიზმი-ქურდობისათვის—19, ბანდიტების დაფარვისათვის—7, სამხედრო ბეგარის თავიდან აცილება და პარტ. დეზერტირობისათვის—7, კარიერიზმი და პირადი სარგებლიანობისათვის პარტიაში შეპარვის გამო—1, ლოთობისა და უხეში მოპყრობისათვის—15, მორწმუნეობისათვის—1, თანამდებობრივი ბოროტმოქმედება და თვითმომარაგებისათვის—4, სპეკულიაცია და ვაჭრობისათვის—4, ინტრიგანობისათვის—4 სხვისი შრომის ექსპლოატაციისათვის 3, პარტიულ მოვალეობათა არშესრულება და პარტიულ დისციპლინის დარღვევისათვის—33, პასიური წევრობისათვის (ზედმეტი ბალასტი) 16, პარტიულ სტაჟის გადამეტება—1, სხვა პარტიიდან გადმოსული—3, უზნეო ყოფა-ქცევა და პროსტიტუციისათვის—1, სულ 145, მექანიკურად გასულია—90.

ცენტრ. გამწმენდი კომისია.

პირველ რაიონის პარტიულ სკოლაში.

ნაძალადევის პარტიული სკოლა გაიხსნა ა. წ. 14 ნოემბერს. მეცადინეობა სწარმოებს ქართულ ენაზე. მსმენელთა შორის არის 41 მამაკაცი და სამი ქალი—ყველა ფიზიკური მშრომელებია. მეცადინეობის დროს ლექციებს გვიკითხავს ამხ. გიორგი ელისაბედაშვილი, რომელიც ისეთ ნათელ ახსნა-განმარტებებს იძლევა, რომ ყველა მსმენელები, მიუხედავათ 8 საათის შრომის შემდეგ დაქანცულობისა, კარგად ითვისებენ წაკითხულ ლექციებს.

პირველად გავიარეთ ბუნების მოვლენები, შემდეგ პირველ ყოფილი ადამიანები და მათი თანდათანობითი განვითარება. ამის შემდეგ გადავედით პოლიტიკურ ეკონომიის შესწავლაზე, რამაც ყველა ამხანაგები ძლიერ დააინტერესა, გამოიწვია მრავალი შეკითხვები და ახსნა-განმარტება.

27 დეკ. შევუდექით რუსეთის რევოლიუციის ისტორიის შესწავლას. ამხ. ელისაბედაშვილმა ნათლათ გაგვიშუქა რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობა დაწყებული დეკაბრისტებიდან. აგრეთვე 1905 და 1917 წლების რევოლიუციები.

აქამდე გვაწუხებდა ის გარემოება, რომ თითქმის ერთი თვე გავატარეთ სიბნელეში და არ გვქონდა წერის საშუალება. ამ ჟამათ გვაწუხებს წიგნების უქონლობა. ხელს გვიშლის აგრეთვე ზოგიერთ ამხანაგების დაგვიანებით გამოცხადება, რასაც უნდა მიაქციოს მსმენელებმა ყურადღება რათა დაგვიანება მეცადინეობაზე შემდეგში არ განმეორდეს.

მსმენელი **კ. ფირაშვილი.**

ლოზანის კონფერენცია

(საკუთარი კორესპონდენტისაგან*)

— რას წარმოადგენს ლოზანას კონფერენცია?

კონფერენციის ინიციატორები ასე უპასუხებენ ამ კითხვას:

— აღმოსავლეთისა და დასავლეთის მორიგების ცდას, დაწინაურებულ ევროპისა და ჩამორჩენილ ახლო აღმოსავლეთის შორის პოლიტიკურ და ეკონომიურ წონასწორობის დამყარებისადმი მისწრაფებას.

დაუშვათ, რომ ეს ასეა. შემდეგში ჩვენ აღმოვაჩენთ ამ საზეიმო და მშვენიერ დეკლარაციის ჭეშმარიტ შინაარს. ძნელი არ არის იმაში დარწმუნება, რომ ეს მყვირალა ფორმულა ძლიერ ნაკლებ,—მეტი რომ არა ვთქვათ,—შეეფერება კაპიტალისტურ სამყაროს ნამდვილ ზრახვებს.

ამ ჟამად ჩვენ უფრო გვაინტერესებს მეორე საკითხი:

— როგორ უდგებიან კონფერენციის მესვეურები მათ მიერ ოფიციალურად დასმულ ამოცანას?

— რა როლს ასრულებენ ისინი „მიწვეულ“ სახელმწიფოები?

ძლიერ საგულისხმოა ის, რომ ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარეთ დანიშნულია ლორდ კერზონი. ტიპიური კონსერვატორი ძველი ინგლისური „მარკის“ ბრიტანეთის დიპლომატიის ძველი იმპერიალისტური სკოლის, რუსეთის შეურიგებელი მტერი წარსულში, ჯერ კიდევ მისი ინდოეთში [illegible] დროს.

საბჭოთა რუსეთი ეჭვდება მას უზომოდ: ჯერ როგორც რუსეთი „საზოგადოდ“, და შემდეგ როგორც მხარე, რომელიც თავის ახალ შინაბუნებაში ატარებს იმ წყობილების აღსასრულს, რომლის დამცველი და გუშაგი ის არის.

სრუტეები—ერთ-ერთი ძირითადი ღერძია კონფერენციის. და ლორდ კერზონი, რასაკვირველია, სრუტეების საკითხის კომისიის თავმჯდომარეა თავიდან დაწყებული დღემდე. მიუხედავათ და წინააღმდეგ იმისა, რომ კომისიებში თავმჯდომარეობა უნდა გაეწიათ ყველა „მიწვეულ“ სახელმწიფოთა დელეგაციების თავმჯდომარეებს, მორიგეობით.

ლორდ კერზონი შეურყევლად სდგას თავის პოსტზე ყველაზე ძლიერ საზღვაო სახელმწიფოს წარმომადგენელმა—მას არ შეუძლია ნება მისცეს, არ შეუძლია მიანდოს სხვებს კონფერენციის მობარბაცე გემის წაყვანა სრუტეების ვიწრო საშიშ ადგილებში. ვის შეუძლია კიდევ მსოფლიო ინტერესების ...... ინგლისის დაცვა ისე, როგორც მას.

იცის რა, ძლიერ კარგათ, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს სრუტეებს საბჭოთა რუსეთისათვის, კერზონი აკეთებს მანევრებს. ის მოლაპარაკებას აწარმოებს ოსმალოებთან.

ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის სახელით ის ხელს არ აკლებს კონტრაბანდათ გაატაროს აგრეთვე თავისი შორეულ-აღმოსავლეთის პოლიტიკა. გზა ინდოეთისაკენ მიდის არა მხოლოდ სუეცის არხით, მისი გაყვანა შეიძლება დარდანელის, ანგორის, მოსულის და მესოპოტამიის საშუალებით.

მაგრამ—ჩუმად. კონფერენციის ჭეშმარიტ სანუკვარ მიზნებზე ლაპარაკი აკრძალულია. ისედაც თითქმის ყველა გაიგებს, რომ კონფერენცია მხოლოდ ხიდია, რომლითაც რომელიმე მამონის მიერ რჩეული ერი ემზადება ფეხი შესდგას საფეხურზე ზევით, იმპერიალისტურ კეთილდღეობის სამეფოში.

და, რათა არა იყოს ცდუნება მომაკვდავთათვის ამა ქვეყნისა ისტორიის არქივიდან კვლავ გამომზეურებულია ქვეყნად, ჩრჩილით შეჭმული, გაცვეთილი, მაგრამ მაინც—დიპლომატიურ საიდუმლოების პირობათ.

კონფერენცია კი არა, არამედ დიპლომატიური საიდუმლოება. მოკლე ოფიციალური ცნობებია ჩუმი მითქმა-მოთქმა, ნაკლები ლაპარაკი კონფერენციის გარშემო, ნაკლები სწორი და გარკვეული ცნობები. რამოდენად მეტია „ხმები“ და მათზე დამყარებული ინტრიგები, მით უფრო მეტი გასაქანი აქვს ძველი ჯურის დიპლომატიას.

ინდოეთის ყოფილმა მმართველმა, ლორდ კერზონმა უკუაგდო ამ ჟამად წარსულ კონფერენციების ყველა „დემოკრატიული“ ცრუმორწმუნეობანი?

მან ლოზანაში მოიტანა მთელი თავისი მდიდარი ადმინისტრატიული გამოცდილება. არავითარი გაზმაურება. არავითარი წინასწარი მასალები კონფერენციისათვის. არავითარი ანგარიშები კომისიებისა და ქვე-კომისიებისათვის.

ხალხი ელოდება ცნობებს, ის მოითხოვს მას. საზოგადოებრივ აზრის და ავიზარ ჟურნალისტების დასამშვიდებლად—მიუგდოთ მათ გამხმარი ცნობის ძვალი. მაგრამ ძვალი ისეთი უნდა იყოს, რომ მასზე არ აღმოჩნდეს ხორცის არც ერთი ნაჭერი.

რეპორტიორები აგროვებენ, გაზეთებს ბეჭდავენ. ხოლო მკითხველი, „მსოფლიოს ხალხნი“, რომელთათვის თითქმის მოწოდებულია კონფერენცია სრულებით ვერაფერს ვერ ღებულობს ამ ცნობებიდან.

ისინი იმავე გაურკვევლობაში რჩებიან, თითქოს არაფერი ცნობაც არ ყოფილიყოს.

მაგრამ არის მხარე, რომელსაც ტომარაში ვერ დამალავ. რუსეთი და ოსმალეთი ძლიერ უშლიან ხელს მიწვეულებსაც და მომწვევებსაც. მათ გარეშე ძლიერ ადვილად და უბრალოდ შეიძლებოდა მრავალ წყეული საკითხების „გადაჭრა“. ჭეშმარიტი პატრონის დაუსწრებლად მუდამ ადვილია გადაწყვეტა. მაგრამ ისინი აქ არიან და მათი ყოფნა უზომოდ არღვევს კონცერტის კეთილხმოვანებას.

„ავადმყოფი კაცი“ ოსმალეთი, როგორც მას უწოდებდა მრავალი წლის განმავლობაში საფრანგეთის დიპლომატია; ავადმყოფი, რომლის სასთუმალთან უკვე არა ერთხელ შეკრებილან ევროპის იმპერიალისტები, რომლებიც მოუთმენლად ელოდენ უკანასკნელ სულის ამოსუნთქვას და მდიდარ მემკვიდრეობის დაყოფას.

„ავადმყოფი კაცი“ არ მოკვდა მიუხედავად ინგლისელ და სხვა ექიმების და მცოდნე პირების განაჩენისა, მისი თავი წინანდებურად მიემართება ევროპისაკენ, ხოლო სხეული დაბჯენილი სრუტეებზე გაგანიერდა მთელ მცირე და ნაწილობრივ ცენტრალურ აზიაში.

და სწორედ ეხლა ოსმალეთი ცოცხლდება უფრო ძლიერად ვინემ ოდესმე.

ოსმალეთი უკვე განთავისუფლდა მრავალ დაბრკოლებებიდან, რომელიც საუკუნეებით ხელ-ფეხს უკრავდა და მას ის უკვე სუსტი ნებისყოფის ბავშვი აღარ არის, რომ ყველას შეეძლოს მისი ისე ათამაშება, როგორც მოესურვება. ის უეცრად გაიზარდა, მიაღწია სრულ წლოვანებას, რომელსაც ასე აყოვნებდა იმპერიალისტური ევროპის ზრახვები. და ის სარგებლობს განსაზღვრული ძლიერებით არა მარტო თავის მ მულში, არამედ მთელ მუსულმანურ მსოფლიოში.

არაბეთის „ხარაკა ბარაკ ხ“ (რელიგიური მოძრაობა) გახდა თანამედროვე განახლებულ ოსმალეთის ლოზუნგი აღმოსავლური სიზარმაცე, ინერციულობა, თუ მოქმედება, პოლიტიკური მონობა, ფატალისტური უდარდელობა საკუთარ ბედზე, რაც ახასიათებდა წარსულში ოსმალეთს, ეხლა მან მოიძრო როგორც უვარგისი და სულშემხუთავი ქერქი.

თანამედროვე თაობამ, რომელმაც მოქცა ანგორა, გვიჩვენა რომ მან ბევრი რამ ისწავლა ევროპის სკოლაში. და პირველ ყოვლისა ისწავლა ბრძოლა, თავისი თავის დაცვა, მისთვის და მის მრავალტანჯულ ხალხისათვის უკეთეს მომავალისათვის თავდადება.

გამოურკვეველია, თუ შემდეგში რა გზით წავა ოსმალეთის განვითარება. ვისთან როგორ ითანამშრომლებს ის ახლო მომავალში.

მაგრამ ეხლა იმპერიალისტებისათვისაც ნათელი უნდა გახდეს, რომ უკვე ლაპარაკი შეიძლება არა ოსმალეთის დაჩაგვრაზე, არამედ მის მიმხრობაზე.

ოსმალები რეალური პოლიტიკოსებია. საკუთარი ძალის შეგნებითა და აღმოსავლური სიმშვიდით, მათ კონფერენციაზე უპირავთ თავი ისე, როგორც სავსებით შეჰფერის დამოუკიდებელ ერს მათი უპირატესობა იმაშია, რომ ისინი სათანადო ყურადღებით ეპყრობიან თავის მოწინააღმდეგეებს, მაშინ, როდესაც უკანასკნელები ბევრ შეცდომას უშვებენ, მიდიან რა ოსმალებთან მოძველებულ, მაგრამ დიპლომატებისათვის ჩვეულ ოსმალეთის გახრწნის საზომით.

მოკლე ისტორიულ პერიოდის განმავლობაში უკვე მეორეჯერ მიიწვიეს ოსმალეთი ლოზანაში ზავის ჩამოსაგდებად. პირველათ—1912 წელს იტალიელებთან მოსალაპარაკებლად, ოსმალეთ-იტალიის ომის შემდეგ. მეორეთ—ეხლანდელ კონფერენციაზე.

მაგრამ თუ 1912 წელს „ავადმყოფ კაცს“ ესაჭიროებოდა რადიკალური სანატორიული ექიმობა. და მრავალრიცხოვან ევროპის ძიძების მზურველობა, ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. მსოფლიო ომს, რუსეთის დიდ მუშურ-გლეხურ რევოლიუციას და მთელ რიგ ევროპის რევოლიუციის ტალღებს უშედეგოდ არ ჩაუვლია ოსმალეთისათვის: სულთანების და ინტრიგან სერალების სამეფო ჩაბარდა ისტორიას, ძალითა და ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა ანგორის ოსმალეთი ფხიზლად და დამოუკიდებლად მიდის მომავალ ისტორიულ გამოცდებზე.

ამიტომ გასაკვირი არ იქნება თუ აღმოჩნდება, რომ ისმეტ-ფაშა და მისი მხლებლები მივიდნენ შვეიცარიაში, როგორც სპორტსმენები, საკუთარ ძალების საცდელად დიდ აღმართის საერთაშორისო პოლიტიკის მაღალ მწვერვალებზე ასასვლელად...

ოსმალეთის გარეშე, რასაკვირველია არ შეიძლებოდა კონფერენციაზე მუშაობა.

„ოსმალეთის საკითხი“—ერთ ერთი საბაბია ლოზანაში გამართული „ვაჭრობის“.

[illegible]რამ სამაგიეროდ სცადეს გვერ[illegible] [illegible]ზებათ რუსეთისათვის. ვერ შეს[illegible] მისი დაუშვებლობა,—სცადეს [illegible]შევიწროება. თითქოს სინამდვილე[illegible] ვინმეს ეფიქროს, რომ ახლო-აღმოსავლეთის საკითხის გადაჭრა შეიძლება საბჭოთა რუსეთის მონაწილეობის გარეშე.

რასაკვირველია, არავის და თვით პატივცემულ ლორდ კერზონსაც არ სწამდა იმ დღეულების გამოსადეგობა, რომელიც აირჩია კონფერენციამ საბჭოთა რუსეთის მიმართ. მაგრამ რახან დაადგენ ამ ლოლიპულ გზას, „ხაზინები“ განაგრძობდენ კოტრიალს დაქანებულ დაღმართზე, რომელთაც ძლიერ უჯიქებდა ინდოეთის ყოფილი მმართველი.

თვალ ნაკლულები ოსმალეთისადმი, აღმოჩნდენ ბრმები რუსეთის მიმართ და გაკვირვებით თვალების ჭყეტა დაიწყეს მაშინ, როცა აღმოჩნდა, რომ რუსეთის დელეგაცია არა თუ შეიარაღებულია დიპლომატიურ გამოცდილებით თავის დახელოვნებულ მოწინააღმდეგებზე უკეთესად, არამედ რამდენიმეთ ის უფრო ძლიერიც არის.

ეს „რამდენიმე“ სამართლიანობის შეგნება და გულახდილი, არა სიტყვით, არამედ საქმით, მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ ეს არის ფხიზელი მოპყრობა სიტყვებისადმი და დიდი სიძულვილი დიპლომატიურ ხრიკებისადმი.

თანამედროვე ერების ბედი იწვება დიპლომატიურ კონფერენციების ზაგიდების გარეშე. თვითეულ სიტყვათა დღესასწაულის შემდეგ იწყება სამუშაო დღე. და თვითეულ კონფერენციის შემდეგ, რომელშიაც ამა თუ იმ სახით მონაწილეობას ღებულობს რუსეთი, თანდათან აშკარა ხდება ყველასათვის—როგორც მეგობრებისათვის, ისე მტრებისათვის:

რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა იმ ზომ დიდია, რომ სავსებით ფუჭია ერთი მუჭა დიპლომატების ცდა-შეაფერხოს მისი მონაწილეობა მსოფლიო ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თავიანთ დიპლომატების გადათვლით. ერები მიდიან ახალი ცხოვრებისაკენ, რომელიც მოაქვს განთავისუფლებულს, გაჯანსაღებულს და გაძლიერებულ საბჭოთა რუსეთს.

---

*) მოსკოვის „იზვესტიას“ № 289.

ეკონომიური ცხოვრება

ბათომის ბირჟა.

ბათომი. 28 დეკ. ბათომის ბირჟის ოფიციალური კურსი: ოსმალური ქაღალდის ლირა—250.000—260.000 ქართული ბონებით ოქროს 10 მან. 2.650.000—2.782.000 მ. ქარ. ბონებით. საბჭოთა ნიშნების 1 მილიონი ფასობს 13.000—14.000 მან. დოლარი 170—175 პიასტრი, გირ. სტერლინგი 765—775 პ. ოქროს ლირა ოსმალური 775—780 პ. ოქროს 10 მან. 1.060—1.070 პ. 20 ფრანკი 230—240. იტალ. 20 ლირა 140—150 პ.

ბაზრის კურსი: ოსმალური ქაღალდის ლირა 300.000—310.000 მ ქარ. ბონებით. ოქროს 10 მან. 3.270.000—3.400.000. დოლარი 175—180 პ. გირ. სტერლინგი 795—800 პ. ოქროს ლირა 800—810 პ. ოქროს 10 მან. 1.090—1 100 პიასტრი. ფრანკი 230—240 პ. 20 იტალ. ლირა 140—150 პ. ოსმალური ლირა 21.000.000 საბჭოთა ნიშნებით.

დამზღვევ კასაში

პროფკავშირთა საბჭოს პლენუმში არჩეულ იქნა ტფილისის საერთო საქალაქო დამზღვევ კასის ახალი გამგეობა.

1-ლ თავის სხდომაზე შეკრებილმა ახალმა გამგეობამ ძველ გამგეობის და ახლად არჩეულ სარევიზიო კომისიის თანდასწრებით დასვა მთელი რიგი საკითხებისა.

პირველი საკითხი—კასის ახალი პრეზიდიუმის შედგენის შესახებ.

კრებამ ამ საკითხის გამო წინასწარ მოისმინა კასის ყოფილ თავმჯდომარის ამხ. იაშვილის მოხსენება. უკანასკნელმა განაცხადა, რომ კასის პასუხისმგებელი მუშაკებათ განზრახულია 3 კაცის არჩევა. პროფკავშირთა საბჭოს მიერ კასის პრეზიდიუმში დასახელებული არიან ამხ. ელბაქიანი, ხუტულაშვილი და ცომაია. კასის მოღვაწეობისათვის პასუხისმგებელია მთელი გამგეობა.

პრეზიდიუმის შემადგენლობაში საჭიროა შეყვანილ იქნეს სამკურნალო ქვეგანყოფილების წარმომადგენელი დაზღვევის მთლიანობის მისაღწევად, რომელშიაც შედის აგრეთვე დაზღ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურსათო გადასახადის კამპანია

აღმოსავლეთ საქართველოში

კიდევ 100 პროცენტი

სახალხო სასურსათო კომისარიატის ცნობით, დუშეთის მაზრამ უკვე ადაიხადა მთელი 100 პროცენტი მასზე შეწერილ გადასახადის, ანუ 0.000 ფუთი ხორბლეულის ერთეული.

სულ აღმოსავლეთ საქართველოში დეკემბრის 29 ს შეგროვებულია 74.138 ფუთი ხორბლეული, ანუ 99,9 პროცენტი შეწერილ გადასახადისა.

ამ რიგად შესაგროვებელია კიდევ სულ 0,1 პროცენტი ანუ 600 ფუთი ხორბლეულის ერთეული ეს რაოდენობა აზაკრებია თიანეთის მაზრაში და ამ დღეებში იქაც დასრულდება შეგროვება.

დასავლეთ საქართველოში

ამ ჟამად წლევანდელ გადასახადის შეგროვება სწარმოებს ლეჩხუმსა, რაჭისა და შორაპნის მაზრაში. დეკემბრის 29 სთვის ამ მაზრებში შეგროვილია 11.812 ფუთი ხიმინდის ერთეული.

ეულთათვის საექიმო დახმარებაც.

კასის გამგეობის თავმჯდომარეთ პროფკავშირთა საბჭომ დაასახელა საექიმო-სანიტარო კავშირის მუშაკი ამხ. ცომაია, ვინაიდან ამ კავშირს მახლობელი კავშირი აქვს დაზღვევის საქმესთან. მოისმინა რა ყოფ. თავმჯდომარის ინფორმაცია, კრება შეუდგა ახალ პრეზიდიუმის არჩევნებს. არჩეულ იქნენ თავმჯდომარეთ ამხ. ცომაია, პრეზიდიუმის წევრებად ელბაქიანი და ხუტულაშვილი.

ახალ პრეზიდიუმს დაევალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დამზღვევ კასის მთავარ იმპულსს—საპროცენტო გადარიცხვის განყოფილებას.

მეორე საკითხად განხილულ იქნა ფინანსიურ და საბუხჰალტერიო ნაწილის მოწყობა.

ძველი გამგეობის თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ ფინანსიური მუშაობა სწარმოებს კასაში ბუხჰალტერიის წესების თანახმად. ყოველთვიურად სდგება ფინანსიური ანგარიში. მუშაობა სწარმოებდა იმ წესრიგის მიხედვით, რომელიც პროფკავშირთა მე-5-ე ყრილობამ მიიღო.

ახალმა გამგეობამ უნდა მიაქციოს ყურადღება ყველა ამოცანების განხორციელებას; შემდეგ ამოცანად ითვლება მჭიდრო კავშირის მოწყობა კასასა და პროფკავშირებს შორის. ეს მასცემს მას წარმატების გარანტიას. რესპუბლიკის დამზღვევ კასის მთელი მუშაობის წარმართვა, ერთიანი დაზღვევის გატარება და ადგილებზე პრაქტიკულ მუშაობის საქმის შემუშავება და აგრეთვე ადმინისტრატიული ფუნქციები—გადადის შრომის სახ. კომისარიატის სოციალურ დაზღვევის განყოფილების ხელში.

მოხსენება მიღებულ იქნა კრების მიერ ცნობათ. 1 იანვრამდე კასის პრეზიდიუმში დატოვებულ იქნენ ამხ. იაშვილი და ცომაია.

მიმღებ კომისიაში, კასის ყველა საქმეების ძველი გამგეობისაგან მიღება მიენდო მთელ ახალ პრეზიდიუმს.

ბოლოს ახალ პრეზიდიუმს წინადადება მიეცა განიხილოს მახლობელ სხდომაზე კასის მოსამსახურეთა შტატი და თავისი აზრი ამის შესახებ გააცნოს გამგეობას.

ქრონიკა

სახ. კომისართა საბჭოში.

— **საჩუქრები ბავშვებს.** სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით დაარსებულ იქნა კომისია, რომელსაც გადაეცა 100 მილიონი ტფილისის ბავშვთა სახლებისა და ბაღების ბავშვებისათვის სადღესასწაულო საჩუქრების დასარიგებლად.

— **პურის ულუფის გადიდება.** ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების კომისიის შუამდგომლობის თანახმად მთავრობამ განკარგულება მისცა სახ. სასურსათო კომისარიატს, რათა რიცხვით 1048 მოსწავლე ბავშვებს გაუდიდდეს ულუფა ნახევარი გირვანქა პურით.

— **ტელეფონის ქსელი.** მთავრობამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა ახალი ტელეფონის ქსელის გაყვანის შესახებ როზა-ლიუქსემბურგის ახალშენებსა და სარვანის შორის ბორჩალოს მაზრაში.

განათლების კომისარიატში

— **მატარებლები მოწაფეებისათვის.** საქ სახალხო განათლების კომისარიატი ამით აცნობებს ყველა უმაღლეს და საშუალო სასწავლებლის მოსწავლეებს, რომ ა.-კავ. რკინის გზის სამმართველოსთან შეთანხმებით 30—31 დეკემბერს ა. წ. და 1-ლ იანვარს 1923 წ. გავა შემდეგი მატარებელი.

ბათომისკენ—საღამოს 5 საათზე საფოსტო მატარებელზე № 4 თითო ვაგონი.

კახეთის—12 საათზე სატვირთოდ-პასაჟირის მატარებელზე № 22 ორი ვაგონი ღამის 10 საათზე № 3 მატარებელზე ორი ვაგონი. განსაკუთრებულ განკარგულებით მოწაფეები სასწავლებლებიდან მიიღებენ შეღავათიან სამგზავრო მოწმობის წარდგენისთანავე რიგს გარეშე ცალკე სპეციალურათ მოწყობილ მოწაფეთა კასიდან მიიღებენ სამგზავრო ბილეთებს.

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატში.

— ამიერ-კავკასიის ფოსტა ტელეგრაფის დაწესებულებათა ყველა უფროსებს წინადადება მიეცათ დაუბრკოლებლივ მიიღონ საბჭოთა დაწესებულებებიდან აიანსები, გასაგზავნ ტელეგრამების საფასურში.

ჯანმრთელობ. კომისარიატში

საექიმო პერსონალის მოთხოვნილება პროვინციაში.

საექიმო ძალების მიზან-შეწონილად განაწილებისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილებამ წინადადება მისცა ჯანმრთელობის განყოფილებებს წარმოადგინონ ცნობები საექიმო პერსონალის მოთხოვნილების შესახებ. ამ ჟამად უკვე მიღებულია ცნობები მთელ რიგ მაზრებიდან, მათ შორის თელავის, სიღნაღის დუშეთის და სხვ.

მიწათ-მოქმედების კომისარიატში.

— ამ ჟამად ცენტრამშენში სწარმოებს დიდი მუშაობა მუშათა სახლების აგების პროექტის შესადგენად.

— ბათომში განზრახულია ცენტრამშენის განყოფილების დაარსება.

— **ტყეების და ველების განაწილება.** ტფილისში შესდგა სრულიად საქართველოს ტყეების ზედამხედველების ყრილობა ტყეთა ინსპექტორ ბაქრაძის თავმჯდომარეობით. ყრილობას გასარჩევი ჰქონდა სხვა და სხვა სატყეო საკითხები. ტყეებისა და ველების სასურველ განაწილების შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა ყრილობას პროფესორმა ს. ქურდიანმა, ყრილობამ მიიღო მოხსენება, რომელშიდაც არის შემდეგი თეზისები: 1) ბარის ტყეები, რომლის ნიადაგიც სასოფლო მეურნეობისათვის სავსებით გამოსადეგი არის, უნდა თანდათანობით მოიჭრას და ნიადაგი მიწის ფონდის გასაძლიერებლათ ჩაირიცხოს. ბარის ტყეებიდან უნდა დარჩეს მდინარის ნაპირებზე გაშენებული ტყეები სიგანით არა ნაკლებ 50 საჟენისა. აგრეთვე უნდა დარჩეს იქ იმდენი ტყე, რამდენიც საჭირო იქნება ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის. მომხსენებლის აზრით საკმაო იქნება კომლზე 2 დესიატინა ტყე 2) ბარის ტყეები, რომლის ნიადაგი დაჭაობებულია უნდა ისევ ტყეებათ დარჩეს მანამდე სანამ შესაფერი ზომები არ იქნება ნახმარი ჭაობების გასაშრობათ. როცა ამ ზომებით ნიადაგი სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი იქნება, ეს ტყეებიც უნდა მოიჭრას და ნიადაგი საფონდო მიწას მიემატოს. 3) მთის ნატყევარი ადგილები, რომელიც სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგია მხოლოდ დროებით და იმავე დროს სოფლის მეურნეობის წყალობით ნიადაგი ირეცხება, ან ზიანი მოსდის ქვევით მდებარე არე-მარეს, უნდა დაუბრუნდეს სატყეო ფონდს ტყის გასაშენებლათ. იმავე დროს მთაში ახალი ახოების გაწმენდა ტყიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს დაშვებული, როცა შესაფერი გამოკვლევით დამტკიცებული იქნება ერთის მხრივ ნიადაგის სარგებლიანობა სოფლის მეურნეობისათვის და მეორეს მხრივ, ტყის გაწმენდა არავითარ ზარალს არ მისცემს ქვევით მდებარე სოფლებს და მესამე მხრივ—მოსახლეობიდან ტყეებს ზიანი არ მოუვათ აგრეთვე დაუშვებელი უნდა იყოს ისეთი ტყეების გაწმენდა, რომლის მერქნის გამოყენება რაიმე მიზეზით შეუძლებელია. 4) მცირე ველები, რომლებიც მოთავსებულია მთის ტყეების შიგნით უნდა თანდათანობით გატყევდეს.

სხვა და სხვა.

— **პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობის გამოცემები.** პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობამ გამოსცა შემდეგი წიგნები: 1. სულელი—სამ-მოქმედებიანი პიესა შიუკაშვილის. 2. რევოლიუციის საყვირი—ლექსები, სანდრო ეულის 3. არსენა—მონოგრაფია ვასილ ბარნოვის 4 უოლტ უიტმანი—ვახტანგ კოტეტიშვილის. 5. რევოლიუციის პოეტები—ტიციან ტაბიძის და გიორგი ლეონიძის რედაქციით. 6 ჟაკერია—პროსპერ მერიმეს, პიესა, გადმოკეთებული ინ ბანის მიერ. 7. მოსე მწერალი—პიესა, გადმოკეთებული (ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან) გრ. საქარი კედელის მიერ. 8. რა გააკეთა საბჭოთა მთავრობამ რუსეთში—3. იოანოვის. 8. კომუნისტი—ალი—მ. კობროვის. 10. ლენინი—(ბიოგრაფია) ვ. ნევსკის მიერ შედგენილი. 11 რიჟრაჟი—დრამა ემილ ვერჰარნისა, გადმოკეთებული ბებუთოვის და მეირ ბოლდის, თარგმანი ს. ფაშალიშვილის. 12 ოქტომბრის გარდატეხა და ეროვნებათა საკითხი ს. ჯუღაშვილი—სტალინის. 13. ქალი და სახელმწიფო—კოლონტაის. 14. ოქტომბრის გადატრიალება. 15 ოთხი წლის რძოლა—შევსებული—ნ. კიკნაძის მიერ. 16 ყუმბარა—სალიტერატურო იუმორისტული ჟურნალი სანდრო ქურიძის რედაქტორობით. 17. მეფის დალაქი—ლუნაჩარსკის პიესა, თარგმანი დუტუ მეგრელის მიერ. 19. წითელი არმია

— **ყაჩაღების მოკვლა.** შინაგან საქმეთა კომისარიატმა ახალციხიდან მიიღო ცნობა, რომ მაზრის მილიციის მიერ ბანდიტებთან შეტაკების დროს მოკლულ იქნენ ცნობილი ყაჩაღები: ამდი-ადამ ოღლი, რუმიტ-დურსუნ ოღლი და შირინ აზის ოღლი, რომლებსაც დიდხანს ჰყავდათ ტერორის ქვეშ ამ მაზრის მცხოვრებლები.

— **სატუსაღოდან გაქცევისათვის.** ქუთაისიდან იტყობინებიან, რომ სატუსაღოდან გაქცევის დროს მოკლულ იქნა ცნობილი ყაჩაღი ნოშრევან მიროტაძე.

ხელოვნება

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება შალვა დადიანის ორიგინალური პიესა „გუშინდელნი".

— **პიროგოვის გასტროლი.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა მოსკოვის დიდი თეატრის პრიმიერი გ. ს. პიროგოვი.

— **შიო მღვიმელის საბავშვო ლექსები.** სახელმწიფო გამომცემლობამ განათლების სახალხო კომისარიატის სოციალისტურ აღზრდის მთავარმმართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექციის რედაქციით გამოსცა ბავშვების მგოსანის შიო მღვიმელის ლექსები „ტყის სურათები". წიგნი არის 14 სურათით შლინგის მიერ შესრულებული.

— **სუმბათაშვილ-იუჟინის იუბილე** 3 იანვარს, სახელმწიფო ოპერაში, სახელმწიფო აკადემიურ თეატრის მთავარ მმართველობის თანხმობით გაიმართება რესპუბლიკის მსახიობის და მწერალის ა. სუმბათაშვილ-იუჟინის იუბილე.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, შაბათს, 30 დეკემბერს „ევგენი ონეგინი" მონაწ. ბოკოვა, ბარონკინა, კავსაძე, ინაშვილი. შარაშიძე და სხ.

დღეს თეატრებში.

— სახელმწიფო ოპერა—„ევგენი ონეგინ" ბოკოვას, ბორონკინას, თუმანოვ-მახარაძის, დობრავენსკის, კავსაძის, ინაშვილის, შარაშიძის და სხვ. მონაწილეობით. რუსთაველის თეატრი—ქართული წარმოდგენა „გუშინდელნი" სახალხო სახლი—გლაგოლინის და ვალერსკის გასტროლი.

დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალში.

ქრთამის აღება, შუამავალთა და მიმცემთა გასამართლება

დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალი შეუდგა მექრთამეობასთან ბრძოლას და განსახილველია მის წარმოებაში მყოფი მთელი რიგი საქმეებისა, რომელთა რიცხვში მიმდინარე წლის 18 დეკემბერს თავის საჯარო სასამართლოს სხდომაზე განიხილა საქმე შორაპნის მაზრის დ. საჩხერის ყოფილ რაიონის მილიციის უფროსის თანაშემწე პლატონ ჭანტურიძის ბრალდებისა შესახებ მექრთამეობაში:

სასამართლოს ძიების პროცესში გამოირკვა, რომ ბრალდებული აწარმოებდა ქრთამის აღებას, განსაკუთრებით დ. საჩხერის მკვიდრ მოვაჭრე მოქალაქეებიდან, რომელთა რიცხვში შუა-კაცის როლს ასრულებდა ყოფილი ასის თავი ელო მეგრელიშვილი, რომლის მეოხებით აღნიშნულ მილიციის თანამშრომელს აუღია ქრთამის სახით შალომ მეგრელიშვილიდან და მოშე კიკოზაშვილიდან 1922 წლის ივლისის თვეში სამასი ათასი მანეთი, დაპატიმრებისაგან განთავისუფლებისათვის, აბრამ ბინიაშვილიდან დაახლოებით იმავე დროს ხუთასი ათასი მანეთი დაპატიმრებიდან განთავისუფლებისათვის, დავით წვენიაშვილიდან მისი დეზერტირი შვილის მოუთხოვნელობისათვის ერთი მილიონი მანეთი და ასე სხვა საჩხერეში მოვაჭრე მოქალაქეებიდან; ზემოთ აღნიშნულ პირთა განცხადებით პლატონ ჭანტურიძეს უწარმოებია სისტემატიური მექრთამეობა, რასაც განსაკუთრებით ხელს უწყობდა ასის თავი ელო მეგრელიშვილი, რომელიც სასამართლოს წინაშე არ უარყოფდა ქრთამის სახით ჭანტურიძეზე ფულების გადაცემას, და აცხადებდა, რომ ის ისწრებდა ქრთამის მიმცემ პირებს, ყველა შემთხვევაში, როდესაც მას ქრთამის მიცემას ავალებდა, რომელიმე მისი მოკეთე მეზობელთაგანი.

ქრთამის მიმცემთაგან სხდომაზე გამოცხადდნენ შალომ მეგრელიშვილი, აბრამ ბინიაშვილი და დავით წვენიაშვილი, რომლებიც აცხადებდნენ რომ ქრთამის მიცემა მათ მხრივ ხდებოდა ადმინისტრაციის პირის მოსალოდნელ მოქმედებების თავიდგან ასაცილებლად და როგორც სხდომაზე გამოირკვა უსაფუძვლო შიშის და მოქალაქობრივ უფლებების დაცვის უცოდინარობის შედეგათ, მაგ. აბრამ ბინიაშვილს მიუცია ჭანტურიძისათვის ნახევარი მილიონი მანეთი, მაშინ როდესაც ის დაუკავებია ჭანტურიძეს სარეწაო გადასახადის კვიტანციის უქონლობისათვის; ფაქტიურათ ბინიაშვილს ეს გადასახადი 360.000 მანეთი შეტანილი ქონია იმ დროს, ხოლო კვიტანცია არ აულია; ამ რიგათ ბინიაშვილს გადასახადის დასაფარავათ ეჭირებოდა 360.000 მანეთი—შეტანილიც რომ არ ქონდა, მაგრამ ქრთამის მიცემის სურვილს გადაუჭარბებია და ნაცვლად შეტანილ ფულის კვიტანციის ე. ი. უკვე შეტანილ თანხის გასამართლებელ საბუთის მიღებისა მას 500.000 მანეთი მიუცია ჭანტურიძისათვის, დაპატიმრებიდან განთავისუფლების შემდეგ და ამ პირობებში, როცა მას შეეძლო თვისი უფლებების ყოველმხრივ დაცვა და მდგომარეობის გამოძიება სადაც ჯერ იყო:

წინასწარ გამოძიების ამომწურავ საბრალმდებლო დასკვნით პასუხის გებაში იყო მიცემული მხოლოთ ქრთამის აღები ჭანტურიძე—ხოლო სასამართლოს ძიების დამთავრების შემდეგ და მხარეთა კამათის დროს საზოგადო მბრალმდებელმა ამხ. ი. დადიანმა დაასაბუთა რა საქმეზე მოწოდებულ პირთაგან ჩადენილი დანაშაული, როგორც ქრთამის მიმღებ ისე შუამავლის და მიმცემისა მოითხოვა დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემა და საქმის შეუჩერებლივ ყველა დამნაშავეთა მხრივ მხილებათა სიაშკარავის გამო სასჯელის გამოტანა თანახმად ს. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-117 მუხლის 1, 2 და 3 ნაწილისა. რევტრიბუნალმა კერძო დადგენილებით სხდომის დროსვე მოწმეთ მოწოდებული პირები მექრთამეობის დროს შუამავალი ელო მეგრელიშვილი და ქრთამის მიმცემნი აბრამ ბინიაშვილი, დავით წვენიაშვილი და შალომ მეგრელიშვილი პასუხისგებაში მისცა სათანადო ბრალდების წარდგენით და გაასამართლა ყველანი ერთად.

რევტრიბუნალის განაჩენით სასჯელი მიესაჯა ყველა ბრალდებულებს და მათზე ამნისტია არ გავრცელებულა, მისთვის რომ საბჭოთა ხელისუფლება ვერ გადაიფარებს თავისი ღმობიერების კალთებს მათ, ვინც მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სამსახურს ანგარებით გამოიყენებს და მექრთამეს სახელს დაიმსახურებს; აგრეთვე ვერ გამოექომაგება მათაც, ვინც საბჭოთა წყობილების დროს ვერ სდგას მოქალაქეობრივ და პირად უფლებების დაცვის სიმაღლეზე და ქრთამებით იკაფავს ცხოვრების გზას.

დამსწრე.

პროვინციაში

პოლიტ-განათლების განყოფილების მუშაობა ბორჯომში.

ცხადზე უცხადესია ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელი მასისათვის პოლიტიკურ განმათვით-ცნობიერებულ მუშაობის გაღვივების საქმეს.

უკანასკნელის საშვალებით ჩვენ უნდა ვიხსნათ საზოგადოების ერთი ნაწილი ბურჟუაზიულ იდეოლოგიურ გავლენისაგან და ჩავაბათ პროლეტარიატს განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ადგილობრივმა ორგანოებმა ბორჯომში მიაქციეს რა მთავარი ყურადღება პოლიტიკურად გაწვრთნის საქმეს, ადგილობრივ პოლიტ განათლების განყოფილების საშვალებით შეუსრულებიათ დღემდე შემდეგი მუშაობა:

ბორჯომის რაიონში არის გახსნილი ქოხ-სამკითხველოები, რომელთაც სათავეში უდგანან პარტიული მომუშავენი. გაზეთები და ჟურნალები არის გამოწერილი ადგილობრივი საშუალებებით: აღმასკომის და მუშათა კოოპერატივის მიერ.

აღსანიშნავია ახალდაბის და წაღვერის თემის მუშაობა, მოხსენებულ თემებში მუშაობას ხელმძღვანელობენ კომუჯრედების პასუხისმგებელი მდივნები. მუშაობა სწარმოებს სხვა თემებშიც, ამხანაგები კვირა და უქმე დღეობით უყრიან თავს მშრომელ გლეხკაცობას და უკითხავენ ხმა მაღლა გაზეთებს „კომუნისტს" და აგრეთვე გლეხურ სამეურნეო გაზეთს „მიწის მუშა"-ს.

ადგილობრივ პოლიტ-განათლების განყოფილებას განზრახული აქვს ახლო მომავალში დაარსოს მთელ ბორჯომის რაიონში სოფლად წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სასწავლებლები.

აღსანიშნავია ის, რომ სწავლა-განათლების სურვილი ხალხში დიდია და თვით გლეხებიდან შემოდის განცხადებები სხვა და სხვა სოფლებიდან, რომ მათ საკუთარ ხარჯზე გამოეწეროთ გაზეთები. რაც შეეხება ქარხნების მუშებს, აქ მუშაობა სწარმოებს ადგილობრივი კომუჯრედების საშვალებით.

თვითეულ ქარხნის კომიტეტს აქვს გამოწერილი სხვა და სხვა გაზეთები, აგრეთვე არის გახსნილი მუშათა უბანში (ჩარხის-წყალი) სამკითხველო, სადაც ყოველ დღე მოდის ახალი გაზეთები და აგრეთვე მოიპოვება თანამედროვე ბროშიურები.

არის გახსნილი მუშათა უბანში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სასწავლებელი, როგორც ბორჯომში, აგრეთვე ახალდაბაში და ბაკურიანში.

ახალდაბაში სალიკვიდაციო სასწავლებლის მასწავლებლად არის დანიშნული ამხანაგი დეკანოზიშვილი (უპარტიო), რომელიც სათანადოთ მომზადებულია და თავისი ენერგიული მუშაობით დაიმსახურა დიდი სიმპატია, როგორც მუშებს, აგრეთვე გლეხკაცობის შორის.

ამხ. დეკანოზიშვილის ინიციატივით ეწყობა ხშირად ლექციები სხვა და სხვა თემებზე მუშებს შორის.

წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის საქმეს ხელს უშლის ის, რომ ცხოვრებაში არ ტარდება მთავრობის სავალდებულო კანონი, წერა-კითხვის უცოდინარ მუშებ[illegible]-თავისუფლება სამუშაოდან [illegible]თით ადრე.

საჭიროა ამაზე ყურადღებ[illegible]ცის სათანადო ორგანოებმა და იქნას დაცული და ცხოვრებაში გატარებული მთავრობის სავალდებულო დადგენილებები.

მუშათა უბანში არსებობს მუშათა კლუბი, რომელსაც ჰყავს გამგეობა ამორჩეული მუშების საზოგადო კრების მიერ; კვირაში ერთხელ იმართება მოხსენებები სხვა და სხვა თემებზე. რაც შეეხება თვით ქალაქ ბორჯომში საქმის მდგომარეობას, ზაფხულის წყალდიდობისაგან ბორჯომის თეატრის წაღების შემდეგ შეუძლებელი იყო რაიმე მუშაობის წარმოება შენობის უქონლობის გამო. მაგრამ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, პარტიულმა და აღმასრულებელმა კომიტეტმა შეძლეს ახალი კლუბის აგება. კლუბი გაიხსნება 31 დეკემბერს, რის შემდეგ საშუალება ექნება ადგილობრივ პოლიტ განათლების განყოფილებას აწარმოოს კულტურული მუშაობა ბორჯომშიაც.

პოლიტ-განათლებას განზრახული აქვს გამოუშვას ყოველთვიური ჟურნალი „ბორჯომის ცხოვრება", რომელშიც იქნება გაშუქებული ადგილობრივი ხასიათის კითხვები.

საერთოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ ბორჯომის პოლიტ განათლების განყოფილება აწარმოებს მუშაობას შეძლებისდაგვარად და იმედი არის, რომ ახლო მომავალში ის სრულებით განახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ს. კიკნაძე.

მუშათა ცხოვრება

მისაბაძი მაგალითი!

მიმდინარე წლის თექვსმეტ დეკემბერს პირველი საბჭოთა კოლონიის ქარხნის მუშებმა და ქართულ № ის საარტილერიო ბრიგადის წითელ-არმიელებმა ცენტრალურ მუშათა კლუბში შეერთებულ ძალებით დასდგეს მუსიკალური ვოკალური და ლიტერატურული საღამო.

ინიციატივა საღამოს მოწყობისა ეკუთნის კოლონიის ქარხნის კომიაჩეიკას, რომლის მოწოდებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურენ ყველა მუშები. საღამოს მოწყობით კომიაჩეიკას ჰქონდა განზრახული ორი მიზანი: დაახლოება და ამხანაგური შეკავშირება მუშების და წითელ არმიელებისა და წმინდა მოგებისა გადადება გაზეთ „წითელ-არმიელის" ფონდის გასაძლიერებლად. კომიაჩეიკამ ორივე მიზანს შეუწყვეტლივ მიაღწია. საღამოს მოსაწყობად საჭირო ხარჯები თვით მუშებმა მიიღეს თავის თავზე. ოთხასი ბილეთი, რომელიც იყო დამზადებული საღამოზე დამსწრეთათვის, იყიდეს მუშებმა საკუთარი ფულით. ამ ბილეთებიდან ორასი ცალი სრულიად უფასოდ შესთავაზეს ამხ. ამხ. წითელ არმიელებს. სამაგიეროდ წითელ-არმიელებმა მუშებს მიაწოდეს თავიანთ სამხედრო ორკესტრი და შეუერთეს თავის მუსიკალური, არტისტული და ლიტერატურული ძალები მუშებისას, და ამგვარად ორმა ძვირფასმა და საბჭოთა ხელისუფლების საამაყო ძალებმა გამართეს იშვიათი საღამო—კონცერტ-მიტინგით.

საღამო გაიხსნა ორი მოხსენებით ამხ. კვირიკაძესი—ქართულ ენაზე და ამხ. სამოილოვისა—რუსულ ენაზე. ორივე მომხსენებლებმა აღნიშნეს და განმარტეს მიზანი და მნიშვნელობა გამართულ საღამოსი.

მოხსენების შემდეგ იწყება თვით საღამო, რომელშიც ღებულობენ უშუალო მონაწილეობას მუშები და წითელ-არმიელები. დადგმულ იქნა სამი თითო მოქმედებიან პიესები. მუშები კითხულობენ რუსულ და ქართულ ენებზე სხვის და თვისი ლექსებს. ქარხნის მომღერალთა გუნდი ასრულებს სხვა და სხვა მოტივებზე სხვა და სხვა ერთა სიმღერებს; ანტრაქტების დროს თამაშობს №-ის ქართულ-ბრიგადის სამხედრო ორკესტრი; ყველა მხიარულია და კმაყოფილი.

საღამო გათავდა ღამის 1 საათზე და მეგობრები შეყვარებულად დაიშალენ თავიანთ ბინებში.

საღამომ დასტოვა წმინდა შემოსავალი—თოთხმეტი მილლიონი მანეთი, რომელიც გადაეცა გაზეთ „წითელ-არმიელის" სარედაქციო კოლეგიას გაზეთის ფონდის გასაძლიერებლად.

აი, ხშირად იშვიათი, მისაბაძი მაგალითი მუშებისათვის.

მ. ბ.

რესპუბლიკის მთავარი (უ. მიხეილის) საავადმყოფო

სულ ფიზიკური შრომის წარმომადგენელი საავადმყოფოში ირიცხება: ქალი—54 და კაცი—26.

ამა წლის 1 დეკემბრამდე ყველანი ითვლებოდენ მე 6 კატეგორიაში და ღებულობდენ ჯამაგირს 1 409.000 მანეთს თვეში. აღნიშნულ რიცხვის შემდეგ დაიდვა კოლექტიური ხელშეკრულება, რომლის ძალით შრომა დანაწილდა მრავალ კატეგორიებად და ჯამაგირი კი დაინიშნა თითოეულ მუშას საშუალოდ, 4 მილიონ მანეთამდე თვეში.

ჯამაგირის გარდა მუშები ღებულობენ უფასო სადილს, ჩაის და შაქარს, 1 გირ. თვეში. აგრეთვე სეზონის მიხედვით მათ ეძლევათ ხალათები მუშაობის დროს ჩასაცმელად.

შეშის საყიდლად ადმინისტრაცია დაპირებოდა ავანსს, მაგრამ დაპირება მას ვერ შეუსრულებია დღემდე.

ბინის საკითხი ძალიან მწვავედ სდგას: მუშების უმეტესობა მოწყობილია თვით საავადმყოფოს შენობაში, მაგრამ ვისთვისაც ბინა აღარ გამწვდა, ისინი ამ უბინობის და უშემოსავლობის ნიადაგზე განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას. კულტურული მუშაობა რიგიანია. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია აქ უკვე მოხდა. ახლა მუშებს განზრახული აქვთ გახსნან. პირველი საფეხურის სკოლაც. არსებობს სამკითხველო, სადაც ბლომად მოიპოვება პოლიტიკური სახალხო ლიტერატურა, მოდის გაზეთებიც.

არსებობს პოლიტწრე, სადაც მუშებს პერიოდიულად უკითხავენ ლექციებს პოლიტიკურ საკითხებზე უპარტიოთა თანდასწრებით.

ადგილობრივი

თბილისის ქალაქის სამკურნალოში.

მუშების რიცხვი ამ სამკურნალოებში აღწევს 17 კაცს, რომელთა შორის 5 ქალია. უმეტესად ესენი სანიტრები არიან.

ჯამაგირს ღებულობენ საშუალოდ 3 მილიონ მანეთს თვეში. მიუხედავათ კოლექტიურ ხელშეკრულობისა, ხშირად გაივლის ორი თვე და მეტიც და მუშები ჯამაგირს ვერ ღებულობენ. გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ადგილკომის დიდი მეცადინეობის შემდეგ მოხერხდა ნოემბრის ჯამაგირის დარიგება და ისიც გადადებულ თანხის სიმცირის გამო, მიეცა მხოლოდ ზოგიერთს. ამნაირად, ზოგიერთ მუშას ოქტომბრის ჯამაგირიც არ აქვს მიღებული. ადგილკომმა ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება, ვინაიდან თვეობით უჯამაგიროდ ცხოვრება მუშისათვის შეუძლებელია და დაუშვებელი.

ამ დეფექტის გარდა არსებობს მეორეც, ეს არის შტატების სიმცირე, რაც მძიმე პირობებში აყენებს მუშებს.

ადმინისტრაცია დაპირდა მუშებს შეშის საყიდლად—ავანსს, მაგრამ ეს დაპირება მას დღემდე არ შეუსრულებია, რის გამო მუშები თავიანთი ოჯახებითურთ უშეშოთ დარჩენ და განიცდიან დიდ გაჭირვებას ამ ზამთარში.

კულტურულ განმანათლებელი მუშაობა სრულებით არ წარმოებს. მუშებმა მოისურვეს ერთ ერთ სამკურნალოში მათთვის სამკითხველოს გახსნა, მაგრამ, სამწუხაროდ. ადმინისტრაციისაგან ვერ ეღირსენ ოთახს და დღემდე ეს საკითხი ღიად სდგას, რაც უსიამოვნებას იწვევს მუშათა შორის.

ადმინისტრაცია ვალდებულია შეუწყოს ხელი კულტურულ მუშაობას სამკურნალოში, ყურადღებით და სერიოზულად მიეგებოს მუშათა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ა. ნ.

მუშა თავის ოჯახში.

მუშათა სახლი № 62 მდებარეობს მუხრანის ქ. № 9 და დასახლებულია თავის უმეტეს ნაწილში სამშენებლო მუშების ოჯახებით. მუშებს გარდა, სახლში ბინადრობენ აგრეთვე საბჭოთა თანამშრომლების ოჯახებიც. სულ მუშა-მოსამსახურეებს დაკავებული აქვთ 47 ოთახი. მათი ოჯახების შემადგენლობა აღწევს 100 სულს; ამნაირად თითო ოთახზე მოსდის ორი სული, რაც ნორმალურად შეიძლება ჩაითვალოს.

ოთახები მოითხოვს შეკეთებას. ბინებში სინათლე ნაკლებად არის. კედლები უმეტეს ოთახებში ნესტიანია, განსაკუთრებით პირველ სართულში, საიდანაც ჩამოდის წყალი წვიმის დროს. ზოგიერთი მუშების ოჯახების მორთულობა ოდნავადაც არ არის დამაკმაყოფილებელი.

საერთო გათბობა და ელექტრონის განათება არ აქვთ. ყოველი ოჯახი იკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას როგორც შეუძლია. და, შეძლება კი ძალიან განსაზღვრული არის.

მუშები მუდმივად არ მსახურებენ და ამისათვის არ არიან უზრუნველყოფილი ხვალინდელ დღისათვის. მათი მუშაობას აქვს შემთხვევითი ხასიათი და იშვიათად შოულობენ საქმეს. ან კი როგორ იშოვონ საქმე ამდენ დურგალმა, კალატოზმა და სხვამ, როდესაც აშენება არავის მოსდის ფიქრად.

საერთო დაღარიბება და ხვალინდელ დღის უიმედობა ახასიათებს ამ სახლის მცხოვრებ მუშებს. საჭიროა ვისგანაც ჯერ არს, ამას მიექცეს ყურადღება—საზოგადო სამუშევრების მოწყობით და უფრო უკეთეს საცხოვრებელ პირობების შექმნით.

ერთი მათგანი.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი:

გაზეთ „ბახტრიონი"-ს უკანასკნელ № 24-ში მოთავსებულია წერილი: „სახელმწიფო გამომცემლობისათვის", სადაც სწერია: „სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობა დღემდის სახელმძღვანელოებს და კალენდრებს ვერ გასცდა".

„დიდი გეგმა იყო დაწყობილი ზეპირ სიტყვების გამოცემისათვის და ეხლა ისიც აღარ ახსოვთ".

„ვერც სალიტერატურო ან სამეცნიერო ორგანოს გამოცემა, ვერც საყმაწვილო ჟურნალი, რომელიც ერთის ნაცვლად ორი გამოდიოდა".

შემდეგ წერილის ავტორი გაკვირვებით კითხულობს: როგორ გამოდის სახგამომცემლობის სანქციით და ასრულებით ხუთას-ექვსასიანი გვერდი ყოვლად უვარგისი და უნიჭო: „თხზულებანი" ვინმე იაგო ტატუნაშვილისა, რაც ალბად ათეული მილიონები დაჯდა,—და წერილი თავდება სიტყვებით—ასეთ კურიოზებს, რასაკვირველია ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

სახელმწიფო გამომცემლობა ამ წერილს უპასუხოდ დასტოვებდა, რომ ასეთი პროვოკაციულათ საქმის უცოდინარი ავტორები სისტემატიურად არ ილაშქრებდნენ სახელგამის წინააღმდეგ.

წერილის ავტორს ეტყობა, რომ იგი სრულიად არ იცნობს სახელგამის მოქმედებას და მისი მომავალი მუშაობის გეგმას. ავტორი შეპყრობილია სახელგამისთვის შეურაცხყოფის მიყენების სურვილით და სრულიად არ შედის იმის განხილვაში, გამოცემულია თუ არა ესა თუ ის წიგნი სახელგამის მიერ.

1. სახელმწიფო გამომცემლობამ, მიუხედავად მრავალ ტეხნიკურ და ეკონომიურ დაბრკოლებისა, გამოსცა 129 ცალი წიგნი, აქედან ქართული—88, რუსული—29.

დანარჩენ ენებზე 22 (საშუალოთ 2500 ცალი).

ქართული გამოცემანი ნაწილდება შემდეგნაირად.

საგიტაციო-საპროპაგანდო	25.
სახელმძღვანელოები	25.
სამხატვრო-სალიტერატურო	13.
სამეურნეო	12.
სამეცნიერო	8.

შეიძლება ეხლა მაინც დაინახოს უცნობმა ავტორმა, რომ კალენდრები სახელგამს არც ისე აინტერესებს, როგორც წერილის ავტორს.

2. ზეპირ სიტყვიერების გამოცემა უპასუხისმგებლო რეცენზიის წერა არ არის; იგი „დიდი გეგმით" სწარმოებს და დიდ გეგმას ყოველთვის დიდი შრომა უნდა; შრომა დაწყებულია, მრავალი მასალა უკვე დაგროვდა და სწარმოებს მუშაობა.

3. საყმაწვილო ლიტერატურისათვის არსებობს მთლიანი სექცია: საბავშვო სამხატვრო ლიტერატურის სექცია, რომელიც, რა თქმა უნდა, წერილის ავტორზე უფრო მეტად ზრუნავს ბავშვებისათვის და ორი ჟურნალის ნაცვლად უშვებს საბავშვო ლიტერატურის მთელ სერიას.

4. წერილის ავტორი სჩანს გატაცებულია წერის ჟინით და მის [illegible] სახელგამი აცხადებს, რომ იაგო ტატუნაშვილის „თხზულებანი" მომარაგების კომისარიატის გამოცემაა და არავითარი დამოკიდებულება სახელგამს ამ წიგნთან არ ჰქონია.

სახელგამი სიამოვნებით იღებდა და მიიღებს მომავალშიაც საქმით დაინტერესებულ და ცოდნით დაწერილ შენიშვნებს. მიუთითებთ ავტორს მის წერილზე და ვუსურვებთ, მომავალში „ასეთ კურიოზებს", ადგილი არ ექნეს.

სახელმწიფო გამომცემლობა.

—

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი განცხადება:

პარასკევს ა | წ. 22 დეკემბერს ყოფილ ქართულ კლუბის დარბაზში გამართული იქნა სუმბათაშვილ-იუჟინის საპატივცემულო საღამო, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდა ყველა ტეხნიკუმიდან ორ-ორი წარმომადგენელი.

საღამოზე სხვათა შორის მე-III ტეხნიკუმის სახელით ილაპარაკა ნ. ძიძიშვილმა, რომელმაც ისარგებლა სიტყვით და რაღაც ლიგისა და თავის სახელით ბავშური ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდა პატივცემულ იუჟინს.

ხალხში ცუდი ხმები დადის ჩვენი ტეხნიკუმის შესახებ. რომ გავფანტოთ იგი ვაცხადებთ:

ნიკოლოზ ძიძიშვილი მე-III ტეხნ. მოწაფეთა წარმომადგენელი არ-ყოფილა. ამავე ტეხნიკუმის მოწაფეებს ამის შესახებ არაფერი გაუგიათ.

როგორც გავიგეთ ნ. ძიძიშვილი ტეხნიკუმის მმართველის მიერ იყო არჩეული, ხოლო მეორე წარმომადგენელი თვით ძიძიშვილს აურჩევია. ასე თავის ნებით მიდიან ჩვენი სახელით და სიტყვას ამბობენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მოქმედება დაუშვებელია. ვაცხადებთ პროტესტს ასეთ თავხედურ საქციელისათვის და ვეკითხებით ტეხნიკუმის მმართველს და პედაგოგიურ საბჭოს, რა უფლება ქონდათ ჩვენი სახელით წარმომადგენელი გაეგზავნა საღამოზე და ჩვენს უფლებებში ჩარეულიყვნენ?

მესამე ტეხნიკუმის მოწაფეთა ჯგუფი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 16

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალაქად მდებარე სახლების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს ყოფილ სადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალაქად მდებარე სახლებზე დარჩენილი ვალი მსესხებელთ გადაჰხდეს ქვემოაღნიშნული დებულების თანახმად:

1. დაგირავებულ სახლებზე არსებული ვალი, გამოანგარიშებული ოქროს კურსის მიხედვით, გადახდილ უნდა იქნეს მსესხებლის მიერ ხუთი წლის განმავლობაში, დაწყებული 1923 წლის იანვრის 1-დან.

2. ვალის რაოდენობა განისაზღვროს თავნი ვალის იმ ნაშთით, რომელიც დარჩა მსესხებლებზე 1921 წლის ივნისის 30-ისთვის.

3. წინა მუხლში აღნიშნული თავნი ვალის რაოდენობიდან მსესხებელს გადაჰხდეს მხოლოდ 10 პროცენტი.

4. ამიერკავკასიის ფინანსთა კომისარის რწმუნებულს საქართველოში უფლება მიეცეს მე-3 მუხლში აღნიშნული ვალის შემცირებისა 20 პროცენტით, უკე თუ მამულის დაგირავება მოხდა მსოფლიო ომის დროს 1917 წ. მარტის 1-დე; 30 პროც. უკე თუ მამულის დაგირავება მოხდა 1917 წლის მარტის 1-ს შემდეგ; და 20 პროცენტამდე უკე თუ, დაგირავებული მამულის მდგომარეობის გამო, მსესხებელი ვერ შესძლებს აღრიცხულ ვალის გადახდას. უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანხმობა.

5. გადასახადად აღრიცხული ვალი დაყოფილ უნდა იქნეს ათ ნაწილად. პირველი ნაწილის გადახდის ვადად დაინიშნოს 1923 წ. აპრილის 1-ლი; მეორესი—1923 წ. ოქტომბრის 1-ლი და შემდეგ ამავე წესით ყოველი ნახევარი წლის დამლევამდე.

6. უკეთუ მსესხებელი ვალს გადაიხდის აღნიშნულ ვადაზე ადრე სრულიად ან ნაწილობრივ, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულს საქართველოში უფლება ეძლევა ასეთ მსესხებელს მესამე მუხლში აღნიშნული თავნი ვალი, თავის შეხედულებით, შეუკვეცოს 20 პროცენტამდე.

7. მსესხებელს არ უნდა გადაჰხდეს სესხის სარგებელი, მაგრამ თუ მან ვადაზე გადასახადი არ შეიტანა, მას გადაჰხდება საურავი ვადაზე შეუტანელ გადასახადზე, ყოველ გადაცილებულ ნახევარ თვეში ნახევარი პროცენტი.

8. ვადაზე შესატანი გადასახადის და საურავის ჯამი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ოქროს კურსით, რომელიც გამოქვეყნდება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულის მიერ არა უგვიანეს ერთი თვისა ხვედრის შეტანის ვადამდე (§ 5).

9. დაგირავებული შენობები დაზღვეულ უნდა იქნეს ცეცხლისაგან, თანახმად არსებული კანონებისა.

10. თუ მსესხებელმა დაწესებულ ვადაზე გადასახადი არ შეიტანა, მას მიეცემა ორი თვის შეღავათი, ხოლო შემდეგ მამული გამოცხადებულ იქნება საჯარო გასასყიდად; უკეთუ მამულზე პირველი საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, უნდა მოხდეს მეორე საჯარო ვაჭრობა არა უგვიანეს ერთი თვისა და თუ მეორე საჯარო ვაჭრობაზე მამული არ გაიყიდა, იგი დარჩება სახალხო ბანკს.

შენიშვნა 1: სესხის და საურავის ჯამს უნდა მიემატოს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადი.

შენიშვნა 2: სახალხო ბანკზე დარჩენილ შენობებს განაგებს სახალხო ბანკის გამგეობა, განსაკუთრებული წესების თანახმად.

11. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულს საქართველოში დაევალოს ამა დეკრეტის განსახორციელებლად შეიმუშაოს სათანადო წესები.

12. მთელი თანხა, შემოსული დაგირავებულ სახლებზე თავნი ვალის დასაფარავად და საურავი ამ ვალისა, ხარჯების გამოკლებით,—ჩაირიცხება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიშში, მოჰხმარდება საქართველოში დანგრეულ შარაგზების და ხიდების აღდგენას და სახელმწიფო გამომცემლობას.

13. დეკრეტი ესე არ შეეხება ნაციონალიზაციის, მუნიციპალიზაციის და რეკვიზიციის წესით ჩამორთმეულ მამულებს.

14. უკეთუ მესაკუთრეს მამული ჩამოერთვა მე-13 მუხლში აღნიშნული წესით, ბანკის ვალის გადახდის შემდეგ მთავრობა ვალდებულია დაუბრუნოს მამულის პატრონს გადახდილი ვალი მისი შეტანის დროს არსებული ოქროს კურსის მიხედვით, 12 პროცენტითურთ წლიურად.

15. ამა დეკრეტის განხორციელება დაევალოს სახალხო ბანკს, რისთვისაც მას ნება ეძლევა სათანადო განყოფილების გახსნისა და შტატის მოწვევისა.

16. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
მ. ორახელაშვილი.
ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარის რწმუნებული საქართველოში
ბ. ბიბინეიშვილი.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1922 წ. დეკემბრის 28
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 28

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან „შიმშილობისა და და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტის" დაარსების შესახებ.

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული „საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი" გადაკეთებულ იქნეს „საქართველოში შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტად",—ამავე ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, წევრებად—თითო პასუხისმგებელი წარმომადგენელი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებისა და სხვა დაინტერესებულ უწყებათა და ორგანიზაციებისა.

შენიშვნა: აფხაზეთის ფედერატიული რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და სამაზრო დამშეულთა დამხმარე კომიტეტები აგრეთვე გადაკეთებულ იქნეს შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის კომიტეტებად—მათი ძველი შემადგენლობით.

2. შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარი კომიტეტი არის უმაღლესი ორგანო, რომელიც აერთიანებს, წარმართავს და კონტროლს უწევს ყველა ორგანიზაციების მუშაობას შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის საქმეში.

3. აფხაზეთის ფედერატიული რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, აგრეთვე სამაზრო შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან

ბრძოლის კომიტეტები წარმოადგენენ ანგარიშვალდებულ დაწესებულებას შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტის მიმართ და მთლად ექვემდებარებიან ამ უკანასკნელს.

4. შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის კომიტეტების მოვალეობას შეადგენს:

ა) გაერთიანება ყველა საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოების მუშაობისა შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის საქმეში.

ბ) გამონახვა სახსრისა შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის საჭიროებისათვის.

გ) აღმოჩენა დახმარებისა შიმშილობისა და სხვა ყოველგვარ სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულთათვის.

დ) ხელის შეწყობა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, დანგრეულ მეურნეობისათვის ადგილობრივ, შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტის მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად.

5. შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარი კომიტეტის სახსარი შესდგება:

ა) სპეციალური ანაკრეფისა, გადასახადისა და დაბეგრისაგან.

ბ) სამუშაო სასყიდის ანარიცხის და შემოწირულებათაგან.

გ) სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაცემულ საშუალებათაგან.

დ) სხვა და სხვა თამაშობისა და გასართობის ექსპლოატაციით შემოსული თანხებისაგან.

შენიშვნა: მთავრობის მიერ ნებადართულ ყოველგვარ თამაშობათა მოწყობის მონოპოლიური უფლება მთლად რესპუბლიკაში ენიჭება მხოლოდ შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტს.

6. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. დეკემბრის 7.

ტფილისი—სასახლე.

შეცდომის გასწორება

გაზეთ „კომუნისტი"-ს ამა წლის 28 დეკემბრის თარიღით № 299-ში გამოქვეყნებული სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ამა წლის 23 დეკემბრის თარიღით, № 62 „1922 წლისათვის სოფლად შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის ფულად გადასახადად შეცვლის შესახებ" უნდა ჩათვლილ იქნეს **როგორც სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 28 დეკემბრის თარიღით № 68—დადგენილება.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ა. სალარიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

კვირას, 31 დეკემბერს 1922 წ. დილის 10 საათზე ს. კ. პ. ავჭალის სარაიონო კომიტეტის შენობაში დანიშნულია საერთო კრება ავჭალის რაიონის, კომპარტიის წევრების და კანდიდატებისა.

დღის წესრიგი.

1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.
2) მოხსენება ამხ. ლ. სუხიშვილისა ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის შესახებ.
3) ავჭალის რაიკომის ანგარიში, 1922 წ. სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეების განმავლობაში.
4) ს. კ. პ. ავჭალის რაიონულ კომიტეტის არჩევნები.
5) მიმდინარე საკითხები.

ს. კ. პ. ავჭალის რაიონის წევრების და კანდიდატების დასწრება აუცილებელია.

პასუხისმგებელი მდივანი ავჭალის რაიკომისა: ნ. სარქისოვი.

— შაბათს, 30 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე ს. კ. პარტიის მეორე რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 96) შესდგება მეორე რაიონის დიასახლისების საერთო კრება.

დღის წესრიგი

1. ქალი წარსულში, აწმყოში და მომავალში.
2. მიმდინარე საქმეები.

— კვირას 31 დეკემბერს, დილის 11 საათზე საქართველოს კომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტის ბინაზე. (რუსთაველის პრ. № 32 მესამე სართული) მოხდება კრება.

მოწვეულ არიან: გაზეთების ყველა რედაქტორები, ადგილობრივი კორესპონდენტები (პარტიული და მუშათა განყოფ.) და საქ. კომ. პარტიის ტფილისის და რაიონულ კომიტეტების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების გამგეები.

ტ. კ. მდივანი მიხ. კახიანი.

პროფესიონალური

— ბეჭვდითი საქმის მუშაკთა სექციის ბიუროს გაფართოებულ სხდომის დადგენილების თანახმად, 1923 წ. ორშაბათს 1 იანვარს დილის 11 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში დანიშნულია ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის წევრების საერთო კრება.

წევრების საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის შემთხვევაში კრება დაინიშნება იმავე დღეს 12 საათზე, რაც კანონიერად ჩაითვლება წევრების რაოდენობის მიუხედავად.

დღის წესრიგი:

1. სატარიფო შეთანხმების პროექტი.
2. მოხსენება სრულიად-რუსეთის ყრილობისათვის წინასწარ მუშაობის შესახებ.
3. სექციის ცენტრალურ ბიუროს ძირითად ცირკულიარებთან გაცნობა.
4. დელეგატების არჩევნები რესპუბლიკის ყრილობისათვის.
5. მიმდინარე საქმეები.

პროფესიონალურ დისციპლინის წესით სავალდებულოა სექციის ყველა წევრების დასწრება.

განცხადებები

გულდაწყვეტილი მშობლები იასონ ბახვას ძე და თამარ ამბაკოს ასული, დაიკო ქეთინო და ძამიკო გოგი გაბილაია აცნობენ თავის ნათესავთ, მეგობრებსა და ამხანაგებს, რომ მათი უსაყვარლესი არსებანი

რომან იასონის ძე გაბილაია
[illegible]—ბუჯუ
და
აბესალომ იასონის ძე გაბილაია
კუკური—კუკა—ტოტა—ტოტიკო

დასაფლავებული იქნებიან თბილისში 31 დეკემბერს წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე ვერაზე გამოსვენება მოხდება დილის 11 საათზე საკუთარი ბინიდან: უნივერსიტეტის ქუჩა, სახ. № 4 უნივერსიტეტის გვერდით. პანაშვიდი შაბათს, 30 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე. (737 2—1)

ტფილისის უბნის რკინის გზელთა პროფესიონალურ კავშირთან არსებულ კლუბის [illegible] დრამატიული კოლექტივი აუწყებს ნაცნობს და მეგობრებს, რომ 26 დეკემბერს ტრაგიკულად მოკლულ იქნა ნაძალადევის თეატრის ნიჭიერი სცენის მოყვარე

ვასო კუდუხაშვილი

დაკრძალვა დღეს, 30 დეკემბერს, დღის 3 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე. ნაძალადევი, ბასეინის ქუჩა № 23. (740 1—1)

რუსთაველის თეატრი

შაბათს, 30 დეკემბერს

გუშინდელნი

დასაწყისი სრულ 8 საათზე. (კრ. 804 3—3)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა დილა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 30 დეკემბერს

ევგენი ონეგინი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 810—1—1)

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი

კომისია

ამით აცხადებს, რომ კვირას, 31 დეკემბერს, ყველა საკომისარიატოებს სამისამართო მაგიდებში იქნება მუშაობა სამოქალაქო გადასახადის მიღების შესახებ, დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია. (1—1)

დაკარგე 1922 წელს 4 დეკემბერს მე გომის ალმასკომის თავმჯდომარის ამხ. ივანე ჩაჩუას სამსახურის შესრულების დროს გომის თემში რევოლვერი სისტ. სმიტვისონი „ბერლინ გერმანია" № 64 75 ნახველს ვთხოვთ შემატყობინოს შემდეგი მისამართით: ქ. სამტრედი, გომის თემი ივანე ტ. ჩაჩუას.

განცხადება
სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ საგანგებო კომისიისა

თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომისა და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებისა (№ 25, 7 დეკემბრის 1922 წ.) სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია აცხადებს თბილისის მცხოვრებთა საყურადღებოთ შემდეგს:

1. სახლის პატრონებთ ან მათ მოადგილეთ ევალებათ გადამხდელთა სიების სასწრაფოდ შედგენა, როგორც ეს აღნიშნულია ქალ. აღმასკომის სავალდებულო დადგენილებაში ა. წ. დეკემბრის 19 თარიღით № 15.

2 თითეულ სახლში უნდა შედგეს 5 სია: 1) მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც იღებენ ჯამაგირებს მე-9 კატეგორიამდე თანჩათვლით, 2) მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც იღებენ ჯამაგირს მე-9 კატეგორიაზე ზევით, 3) ვაჭარ-მრეწველებზე, 4) დანარჩენ მოქალაქეებზე და 5) იმ პირებზე, რომლებიც დეკრეტის ძალით განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან.

3. სიები უნდა შედგეს შემდეგი ნიმუშის მიხედვით:

№№ რიგ.	გვარი, სახელი და მამის სახელი	რას აკეთებს	სამოქალ. გადას. ოქროთი	შენიშვნა

4. მუშა-მოსამსახურეებს და გადასახადისაგან განთავისუფლებულებს უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული მოწმობები, პროფკავშირებიდან და სათანადო დაწესებულებიდან.

5. სიები, პირადობის მოწმობები და სპეციალური მოწმობები სახლის წიგნებთან ერთად უნდა იქნენ წარმოდგენილი სათანადო კომისარ. სამისამართო მაგიდაში შეკრებილ გადასახადის თანდართვით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ მუშა-მოსამსახურეები სიების შედგენის დროისთვის ვერ მოასწრებენ მოწმობების აღებას, სიები უნდა შედგეს დანარჩენებზე, მუშა-მოსამსახურეებზე კი უნდა შესდგეს დამატებითი სიები. ფულის კურსი—250 მან ქართული ბონებით 31 დეკემბრამდე.

შ. სიით № 1 იხდიან 50 კაპ. ოქროთი
„ „ 2 „ 1 მან. ოქროთი
„ „ 3 „ 3 მან. ოქროთი
„ „ 4 „ 1 მან. და 50 კაპ. ოქროთი.

სამოქალაქო გადასახადის
გამტარებელი კომისია.
კრ. 817 (2—1)

ამიერ-კავკასიის რკინის გზების
ტფილისის ქალაქის
სადგური

იღებს ცოტა და დიდი ხნით ტვირთებს და საოჯახო ნივთებს

შესანახად

საწყობებში სადგურზე და ქალაქში ერევნის მოედანზე ყოფილ თამამშევის ქარვასლაში,

შეღავათიან პირობებში. (კრ. 806—5—3)

აღმასკომის გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს, რომ შაბათს 30 დეკემბერს დღის 12 საათზე აღმასკომის საკრებულო დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** სასტუმრო „აგრონზე". პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში (ოთახი № 50).

(კრ. 809—2—2)

საქართველოს ტეხნიკური საამშენებლო ბიურო

„სატსამგო"

მთავარი სამმართველო: ტფილისი, თავისუფლების მოედანი № 8 ტელ. 8—26, დეპეშის მისამართი—ტფილისი, „სატსამგო", განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში, ახალ სენაკში

ყველაფერი **ელექტროფიკაციისათვის**

ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.

საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა. (კრ. 682—10—6)

ტფილისის აღმასრულებელი
კომიტეტი
ამით აცხადებს,

რომ თანახმად ქალ. ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა ამა წლის 27 დეკემბრიდან, ყველა ბილიარდები, რომლებიც იყო საბილიარდოებში, რესტორნებში და კლუბებში, [illegible] ბინების მუნიციპალიზაციის გამოცხადების დღის, აღებულ უნდა იქმნან აღრიცხვაზე, როგორც ზემო აღნიშნული მუნიციპალიზაციას ქვემდებარე ბინების კუთვნილება ყველა თავის მოწყობილობით (შარები და სხ.) და გადაცემულ უნდა იქმნეს გადასახადთა ბიუროს განკარგულებაში.

აღრიცხვა ხდება გადასახადთა ბიუროს რაიონულ აგენტების მიერ შედგენილ აქტების მიხედვით. ის პირნი, რომლებიც დამალავენ ბილიარდებს აღრიცხვიდან, მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. დუმბაძე.
მდივანი ხუნდაძე.
კრ. 816—2—1)

ამიერ-კავკასიის რკ. გზების
თბილისის ქალაქის
სადგური

იღებს გადასატანად ტვირთებს რკინის გზის სადგურიდან შემდეგი ფასებში:

ერევნის მოედნამდე	15 000 მ. ფუთზე.
მოედნამდე	15 000 „ „
ვორონცოვის მოედნამდე	10.000 „ „
სხვა პუნქტებამდე	შეთანხმებით.

ყოველდღე საბარგო სადგურზე იმყოფება ქალაქის სადგურის წარმომადგენელი ტვირთების გადატანის მონდობილობათა მისაღებად.

კრ. 8 7—5—3

მათემატიკის მასწავლებელი
ი. მ. მახიძე

იღებს მოწაფეებს მოსამზადებლათ ტეხნიკუმის, შრომის სკოლის და საერთო განათლების კურსებზე ყველა კლასებში შესასვლელად. აგრეთვე ასწორებს ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში, რუსულ, გერმანულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 5, ნახვა 9—12 და 2—5 ს. (738 3—1)

მეღვინეთა საყურადღებოდ

ამიერ-კავკასიის რკინის გზის

სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ღვინის საზიდი ტარიფი

შემცირებულია

თანახმად გზის უფროსის დებულებისა 16 ოქტომბრის ამა წ. № კ. 5/6.7. ამ ჟამად მოქმედებს 1916 წ. არსებული დიფერენციალი № 6 pis, რომელიც გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე 16 ოქტომბრამდე არსებული ტარიფი: **ფუთი ღვინის საზიდი ფასი კარდანახიდან-ტფილ. სამდე** იყო 18,57 კაპ. ოქროთი, **არის 10,42 კ პ. ოქროთი.**

(კრ 805 3—2)

ელექტრონის და სინათლის
# სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობით

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით იქ მობას საჭიროებენ. ექიმობა სიფილისის ნერვიული გართულებათა.

საავადმყოფო სწავლება **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—25—2)

დოქტორი **გ. მეგრაბიანცი**

„ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"

შინაგანი ფილტვების—ჰლევრა და გულის ავადმ. სპეც. წამლობა მალარიისა შაშ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.

იღებს 9—12 ს დილ. და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 23 (68425—19)

ამიერ-კავკასიის ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის საკავშირო

კომისარიატები

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს 25 დეკემბრის დადგენილების № 66 5-ე და 6-ე მუხლების თანახმად

წინადადებას აძლევენ ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და წარმოებებს დეკრეტში აღნიშნულ ვადაზე:

1. წარუდგინონ საკავშირო-ფინანსთა სახ. კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს *) ცნობები მათი კასების ფაქტიურ მდგომარეობის შესახებ, მათ განკარგულებაში მყოფ ნაშთებს (ოქროს მანეთებში) და უცხოეთის ვალიუტის რაოდენობის აღნიშვნით.

2. შეიტანონ აღნიშნული თანხები ფულის ნიშნებით და ვალიუტით სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა (სახელმწიფო ბანკის კანტორებში და განყოფილებებში, საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო ბანკში, აზერბეიჯანის და სომხეთის სახ. ბანკებში) მიმდინარე ანგარიშებში 7 დღის განმავლობაში დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან, ე. ი. არა უგვიანეს 1923 წლის 3 იანვრისა, ხოლო წინა წარ უნდა შეუთანხმდენ ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაწესებულებებში და წარმოებებში შესანახად დასაშვებ თანხების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ დადგენილების 1 მუხლის მიხედვით.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილე **ს. იზმაილოვი.**

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარი: **გ. ათარბეგოვი.**

---

*) ქ. ტფილისში განცხადებები შეიძლება გაგზავნილ იქნას უშუალოთ ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალიუტო სამმართველოში.

(კრ. 811—1—1)

რ. ს. ფ. ს. რ. რ. ს. ფ. ს. რ

რეზინო-ტრესტი

ტფილისის განყოფილება

აცხადებს, რომ რეზინის ნაწარმოებ
მიღება შეიძლება:

თბილისში—რეზინო-ტრესტის საწყობ
სოლოლაკის ქ. № 4.

ქუთაისში—კოოპერატივების რაიონუ
კავშირში და ამხანაგო
გორდეზლისთან.

ბათომში—რეზინო-ტრესტის თბილის
განყოფ. წარმომადგენელთა
ოგლობლინსკის ქ. № 12.

ერევანში—დროებით შეიძლება მიღ
რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფ
ბანკის საწყობში.

კრ. 812—3—1

სახლი

განმარტოებულათ მდგარი და თავისუფალ ბინით, ვისაც უნდა იყიდოს ან გაყიდოს უნდა მიმართოს მამადავითის ქუ № 3, ბინა № 2, რუსთველის პროსპ. გვერდით 11—2 საათამდე და 5—7 საათამდე.

691—12—9

დაკარგე ფოთის პოლიცმეისტერის მიერ მოცემული პასპორტი 20 დეკემბერს 1922 წ. [illegible] ნის ძე ბოკერია. ჩაითვალოს გაუქმებულად. (759 2—1)